პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 25 სექტემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 222 (2265)

დღიური

- ფრანგი ფეიქრები საყოველთაო გაფიცვისათვის ემზადებიან.
- იაპონიას განზრახვა აქვს განაგრძოს ჩინეთის პროვინციების ოკუპაცია.
- დროებითი ზავი მუკდენისა და ჩილი-შანდუნის ჯარებს შორის.
- თურქეთი ალბანეთისაგან მოითხოვს თავის ყოფ. საკუთრების დაბრუნებას.
- ნიუ-იორკში გაიხსნა ფეიქართა რევოლიუციონური ფრთის კონფერენცია.
- უკანასკნელი გრიგალის დროს ფლორიდაში დაიღუპა 1500 კაცი.

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა

ცაკის მე-IV სესია,

რომელიც მოწვეული იყო ა. წ. 28 სექტემბრისათვის

გადადებულია.

მოწვევის ვადა ცალკე იქნება გამოცხადებული

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4-ე

მორიგი პლენუმი

მაზრკომების და ოლქკომების მდივნებთან ერთად

გაიხსნება დღეს, 25 სექტემბერს

საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

სესხის გავრცელების პირველი შედეგები

ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია ჩვენში, ისე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, დიდი წარმატებით მიმდინარეობს. საქართველოში გეგმის მიხედვით უნდა გავრცელებულ იქნეს 4 მილიონი მანეთის ობლიგაცია, თუ ამას დაუმატებთ სარეზერვო ფონდს—1 მილიონ მან.— 5 მილიონი მან. ობლიგაცია. 19 სექტემბრისათვის სესხზე ხელმოწერის ჯამი უკვე აღწევდა 3.704.000 მანეთს; აქედან თბილისსა და მის მაზრაზე მოდის 2.542.000 მან., დანარჩენ მაზრებზე კი—1.162.000 მან. და ეს უმოკლეს ხნის განმავლობაში—სესხის გავრცელება ფაქტიურად სულ ერთი თვეა რაც დაიწყო. ბრწყინვალე გამარჯვება აშკარაა.

რით აიხსნება ასეთი მიღწევა? უდავოა, რომ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, ქვეყნის საერთო სამეურნეო განვითარებასთან დაკავშირებით, საგრძნობლად გაიზარდა. მათ უმრავლესობას დღეს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს შემოინახოს წვრილ- წვრილი თანხები, ვინემ ამ რამოდენიმე წლის წინად. ამას გვიჩვენებს უკანასკნელად გამოშვებული შინაური სესხების (ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე და საგლეხო სესხების) რეალიზაცია, აგრეთვე ანაბარების ზრდა შემნახველ სალაროებში და სხვ.

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენი მუშათა და გლეხთა მასების ნივთიერი მდგომარეობა მაინც არ არის იმგვარი, რომ მათ სრულიად თავისუფლად შეეძლოთ შედარებით ისეთ, მათთვის მნიშვნელოვან თანხების დაბანდება სესხში, როგორის მოწმენიც ჩვენ ამჟამად ვართ. საერთო მოვლენაა, რომ მუშა-მოსამსახურენი სესხზე ხელს აწერენ ერთი თვის ხელფასის და ხშირად მეტის რაოდენობით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მუშების იშვიათ პოლიტიკურ შეგნებასთან, მათ მტკიცე მისწრაფებასთან —ყოველნაირად დაეხმარონ თავის სახელმწიფოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტრებით, კაპიტალისტურ ქვეყნებით, რომელნიც შრომის რესპუბლიკის დამხობაზე ოცნებობენ და კრედიტებს არ გვაძლევენ. სოციალიზმი ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი შინაური, საკუთარი საშუალებებით, და მუშათა კლასი დაუზარებლად იღებს თვის წვლილს ამ მიზნისათვის, ხელს უწყობს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ეკონომიურ გაძლიერებას და მის განმტკიცებას ჩვენი კავშირის სამეურნეო იზოლიაციის გამტარებელ იმპერიალისტების წინაშე. ასეთი შეგნება და ნებისყოფა მკაფიოდ ახასიათებს მუშათა ურიცხვ კრებებს, რომლებიც მოეწყო და ეხლაც ეწყობა ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის ჩასატარებლად.

რა თქმა უნდა, სესხის გავრცელების აღნიშნულ წარმატებაში უდიდეს როლს თამაშობს ის ფართე და ცხოველი სააგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ პარტიული, პროფესიონალური, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციები. ამ მუშაობის წყალობით სესხის კამპანიამ მიიღო უაღრესად საზოგადოებრივი კამპანიის ხასიათი; მასში აქტიურად იქმნენ ჩაბმული მშრომელთა უფართოესი მასები.

ეს მუშაობა შემდეგშიც ოდნავად არ უნდა შენელდეს. მიღწევები, ვიმეორებთ, მეტად საგრძნობია, მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. სესხის ობლიგაციების შეუძენლად არ უნდა დარჩეს არცერთი მუშა- მოსამსახურე. სესხის რეალიზაციაში თვითეული მათგანის მატერიალური მონაწილეობა რაც შეიძლება დიდი უნდა იყოს. გარდა ამისა, მუშაობა უნდა იქნეს გადატანილი მოსახლეობის ისეთ ფენებში, რომელნიც საწარმოო პროფკავშირებში არ არიან დარაზმულნი (ხელოსნები, შინამრეწველნი და სხ.) სესხის გასავრცელებლად აქ უეჭველად ფართე შესაძლებლობა არსებობს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს. გლეხობის მასა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ამოძრავებული, მაშინ, როცა სოფლად უეჭველად გებნეულია მნიშვნელოვანი თავისუფალი თანხები. ამიტომ, ვიმეორებთ, სოფელი ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ.

ძირითადი საკონტროლო ციფრი— 4 მილიონი მანეთი, რომელიც ნავარაუდევია საქართველოსათვის, თითქმის დაფარულია. ჩვენი მეცადინეობა იქეთ უნდა მივმართოთ, რომ შევსებულ იქნეს სარეზერვო ფონდიც. მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, და ის მუშაობა, რომელიც გაჩაღებულია, ეჭვს არ სტოვებს, რომ ჩვენი მშრომელი მასები ბოლომდე პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას და ამით წინ წასწევენ სოციალისტურ მშენებლობის საქმეს.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობისათვის

დღეს იხსნება ამიერ- კავკასიის რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობა. რკინისგზელთა კავშირის მეექვსესა და მეშვიდე ყრილობათა შორის განვლო ორ წელზე მეტმა, ე. ი. იმ ვადაზე მეტმა, რაც განზრახული იყო ამიერ- კავკასიის რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის მიერ. საგზაო კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა მეშვიდე ყრილობა მიმდინარე წელს მარტში მოეწვია, მაგრამ რკინის-გზის ტრანსპორტზე ხელფასის ახალ რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც არსებით გადატეხას ადენს ტრანსპორტზე შრომის ხელფასის მანამდე არსებულს სისტემაში, ჩვენთვის აუცილებელი იყო მის გასატარებლად ყველა ჩვენი ძალების მობილიზაცია მოგვეხდინა.

საგზაო კომიტეტმა მიზანშეწონილად არ სცნო, როგორც კავშირის ორგანოთა, ისე კავშირის აქტივის ყურადღების შეჩერება საარჩევნო კამპანიის საკითხებზე მაშინ, როდესაც ახალი რეფორმა ჩვენი აქტივის ყურადღების მაქსიმალურ დაჭიმვას ითხოვდა ცხოვრებაში მისი უმტკივნეულოდ გასატარებლად. ამის გამო რკინისგზელთა ყრილობა მოწვეულია დღეს.

რით წარსდგება საგზაო კომიტეტი რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობის წინაშე?

უპირველესად ყოვლისა, ცხოვრებაში იმ გადაწყვეტილებათა გატარებით, რომლებიც მიღებული იყო ჩვენი კავშირის მეექვსე ყრილობის მიერ. როდესაც ცხოვრებაში ამ დადგენილებათა გატარების შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ კავშირის მუშაობის თავისებური პირობები, ჩვენი ქვეყნის ეროვნული თავისებურობა და ჩვენი კავშირის ცალკე ჯგუფების კულტურული ჩამორჩენილობა, რომელნიც აძნელებდნენ მუშაობის ნორმალურ სვლელობას. მაგრამ, მიუხედავად ამ დაბრკოლებათა, ჩვენი კავშირის მუშაობამ საგრძნობლად წაიწია წინ: განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საორგანიზაციო -მასიური და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაუმჯობესება და სატარიფო- ეკონომიურ მუშაობისთვის სწორი ხაზის აღება. ამას მოჰყვა რეალური სამუშაო ხელფასის საერთო განმტკიცება და ჩამორჩენილ პროფესიებში ხელფასის მომატება თვალსაჩინო მიღწევები საკლუბო მშენებლობაში და კლუბების მოწყობაში, შრომის დასაცავ ღონისძიებათა გაძლიერება და გაცხოველება დაბალი აპარატების საწარმოო და სამეურნეო ეკონომიური მუშაობისა ჩვენს ტრანსპორტზე.

ჩვენი კავშირის მეშვიდე ყრილობის ძირითად ამოცანებს კავშირის ფრონტზე ამ მიღწევათა შეფასება შეადგენს. გარდა ამისა, მეშვიდე ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რკინის- გზის ტრანსპორტის ტეხნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებს, ვინაიდან სატრანსპორტო მეურნეობა ამიერ- კავკასიის ერთ-ერთი ძირითადი მეურნეობა, ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრებული ბაზა და მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობის წყარო.

ამიერ- კავკასიის რკინის-გზის 45 ათასიანი შეკავშირებული პროლეტარიატის მეშვიდე ყრილობა იმსჯელებს ჩვენი სატრანსპორტო მეურნეობის შესახებ, რომელმაც გადააჭარბა ომის წინა დროის დონეს, და გამოიმუშავებს ღონისძიებათ ჩვენი სატრანსპორტო მეურნეობის გასაჯანსაღებლად და გასაუმჯობესებლად. მართალია, ამ მეურნეობაში ჩვენ ბევრი წარმატება და მიღწევები გვაქვს, მაგრამ ამასთან ერთად ტრანსპორტის წიაღში ბევრი მოუწესრიგებლობა და ნაკლი იმალება, რომლებიც ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვეცა ძველი წყობილებიდან. ეს ნაკლულოვანებანი ჩვენ უნდა ალმოვფხვრათ საერთო ძალღონით, რითაც არ უნდა დაგვიჯდეს, სამეურნეო ორგანოებთან ხელჩაკიდებულად.

ამასთან ერთად ყრილობამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებათა მთელი რიგი დაბალი ეკონომიური ორგანიზაციებისა, საწარმოო თათბირებისა და იმ კომისიების ქსელის გასაფართოვებლად, რომელნიც მეურნეობის პრაქტიკულ კონტროლს ანხორციელებენ. ეს საჭიროა იმ მიზნით, რომ სამეურნეო ორგანოებს დროზე მიუთითონ იმ დეფექტებზე, რომლებიც არსებობს მუშაობის ტეხნიკურსა და საორგანიზაციო დარგში.

ყრილობამ აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ.-კავკასიის რკინის-გზის ტრანსპორტის მამრთველობის რაციონალიზაციას და ტრანსპორტზე შრომის დისციპლინის აწევას, რომელიც სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ჩვენი გამარჯვების საწინდარია.

ამჟამად ტრანსპორტზე ხორციელდება და ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია სამუშაო ხელფასის ახალი რეფორმა. ეჭვს გარეშეა, ამ დიდს საქმეში ჩვენ შეცდომები გვექნება. ამ საკითხს ყრილობა მეტად სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს და დაეხმარება კავშირს გამოააშკარაოს ეს შეცდომები მის მოწესრიგებაში ჩვენი კავშირის ფართო მასების ფართო მონაწილეობის გზით.

შემდეგ: ყრილობის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა: ჩვენი კავშირის შემდგომი ზრდისა და მისი მასიური მუშაობის გასაფართოებლად ყრილობამ უნდა შეიმუშაოს საჭირო დირექტივები. ამ მუშაობის საფუძველი მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული.

საერთო, სადელეგატო და ცეხების კრებები თვალსაჩინოდ გამოცოცხლდნენ, კრებებზე დამსწრეთა რიცხვმა იმატა და კავშირის წევრები, მასები, უდიდეს ინტერესს და აქტივობას იჩენენ კავშირის წინაშე წამოჭრილ ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტაში. მხოლოდ ყრილობამ უნდა მიიღოს ზომები მასიურ მუშაობის მექანიზმის ისე მოსამართავად, რომ ის მწყობრად მიდიოდეს წინ, რომ მან მიიზიდოს მუშათა კლასის თანდათან უფრო ფართო ფენები, ყველა 100 პროც.

ყველა ეს ამოცანები, რომლებიც ამჟამად ყრილობის წინაშე სდგას და რომლებიც მომავალში გადასაჭრელი ექნება კავშირს, შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ რკინისგზელთა მასების კულტურული ზრდის საშუალებით. ამიტომ მეშვიდე ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება ნუდა მიაქციოს ჩვენი კავშირის კულტურულ- საგანმანათლებლო საკითხებს. ჩვენი კავშირის მასების კულტურული დონის ასაწევად მან უნდა მისცეს საგზაო კომიტეტს საჭირო დირექტივები.

ყრილობამ აგრეთვე უნდა განიხილოს მუშათა მასების საწარმოო და პროფესიონალური აღზრდის საკითხები, რომელთა მიზანშეწონილად გადაჭრა ჩვენ საშუალებას მოგვცემს მუშათა კლასის ტეხნიკური ცოდნა ჩვენი ტრანსპორტის ზრდასა და ტეხნიკურ გაუმჯობესებას შევუთანხმოთ.

ჩვენ თითქმის მივაღწიეთ იმას, რომ შევსძელით წერა-კითხვის უცოდინარობის ალმოფხვრა ჩვენს წევრებში, და ამჟამად სდგას საკითხი ჩვენი კავშირის წევრთა ტეხნიკური ცოდნის ამაღლების შესახებ. ტეხნიკური ცოდნის და პროფესიულ თვითშეგნების საკითხები დღეს უმნიშვნელოვანესი საკითხებია და მათ ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი კავშირის ყველა ორგანოებმა ზედა საფეხურიდან ქვედა საფეხურამდე. ეს საკითხები მეშვიდე ყრილობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცნენ.

გარდა ამისა, ყრილობა დიდს ყურადღებას მიაქცევს ტრანსპორტზე სოციალური დაზღვევისა, საექიმო დახმარებისა, შრომის დაცვისა და სხვა საკითხებს. ამ საკითხების გადასაჭრელად ყრილობა მისცემს სათანადო ორგანოებს მითითებათ და დირექტივებს. ამ.-კავკასიის რკინის-გზელთა მეშვიდე ყრილობა დაამუშავებს ყველა ამ საკითხებს, რითაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის შემდგომ წარმატებას.

რკინისგზელთა კავშირის შემდგომი განმტკიცება, მუშათა შეგნებისა და კლასობრივი აღზრდის შემდგომი ამაღლება, სატრანსპორტო მეურნეობის შემდგომი ზრდა, რომელიც ჩვენი გამარჯვების საწინდარია,— აი ამიერ- კავკასიის რკინის-გზის ტრანსპორტის მუშაკთა მეშვიდე ყრილობის ლოზუნგები.

სიტყვა ყრილობას ეკუთვნის.

პარმენ საგაშვილი.

ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების გარშემო

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამშვიდებს ამერიკის საზოგადოებრივ აზრს

გერმანია უარჰყოფს პოლონეთის უფლებას რეინის საკითხის განხილვაში მონაწილეობაზე

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით არგენტინა ახლო ხანში იცნობს საბჭ. კავშირს

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება და ამერიკა

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობა

პარიზი, 23 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საფრანგეთის საგარეო საქმეთ სამინისტროში აცნობეს:

„ვიდრე არ მივიღებთ ამერიკის გაზეთებში გამოქვეყნებულ დოკუმენტების ნამდვილ ტექსტს, ვერაფერს ვიტყვით ამ დოკუმენტების სინამდვილის შესახებ. ჩვენ ვადასტურებთ ბრიანის მიერ 3 აგვისტოს ინსტრუქციების გაგზავნის ფაქტს, მაგრამ არ შეგვიძლია გამოვაქვეყნოთ ეს ინსტრუქციები ან გამოვთქვათ რაიმე მათი შინაარსის შესახებ იმ დრომდე, ვიდრე არ მივიღებთ დაინტერესებულ სახელმწიფოების საბოლოო პასუხს“ (ადს).

ბრიანის წერილის კომენტარიები

ლონდონი, 23 სექტემბერი. „დეილი ექსპრეს“-ი კომენტარიებს უკეთებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იმ წერილს, რომელიც ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისს შეეხება. გაზეთი სწერს:

„აი რა სურათი გადაგვიშალა თავისი ნაბიჯებით ამ საქმეში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ჯერ, როგორც სჩანს, შეთანხმება გამომჟღავნდა, ამას მოჰყვა დუმილი და საიდუმლო მითქმა-მოთქმა. ამის შედეგ ააყენეს ჭორებისა და შეურაცხყოფის მთელი კორიანტელი. ამჟამად კი, როდესაც კომპრომისი უკვე მკვდარია, მოდიან ამერიკელები და გადმოგვცემენ, თუ რას წარმოადგენდა ერთ დროს ეს კომპრომისი. ინგლისის მთავრობას იშვიათად მოსვლია ისეთი მარცხი, როგორც ამ საქმეში მოუვიდა“.

ლიბერალურმა გაზეთებმა სხვადასხვა ბრალდება წაუყენეს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“-ი სწერს:

„ამერიკის საზოგადოებრივი აზრი ისე უყურებს ამ კომპრომისს, როგორც ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ მთლიანი ფრონტის შექმნის ცდას. ინგლისსა და ამერიკას შორის არსებული ისედაც ცუდი დიპლომატიური ურთიერთობა ამის გამო უფრო გაუარესდება. თუ რა საშინელი და კატასტროფიული შედეგები მოსდევს დიპლომატიური ანტაგონიზმის და შეიარაღებაში მეტოქეობის ამ კომბინაციას, ეს ჩვენმა თაობამ კარგად იცის“ (ადს).

საფრანგეთი „განცვიფრებულია“

პარიზი, 23 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო განცვიფრებულია იმ მღელვარებით, რომელიც საზღვარგარეთ გამოიწვია ბრიანის ახსნა-განმარტებით წერილის გამოქვეყნებამ. ეს წერილი გაეგზავნა საფრანგეთის ელჩებს და შეეხება ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას. სამინისტრო ფიქრობს, რომ თუმცა წერილის გამოქვეყნება სინანულს იწვევს, მაგრამ იგი ამტკიცებს საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების კეთილსინდისიერებასა და თავაზიანობას. მათ არა ერთხელ აღნიშნეს ნამდვილი მნიშვნელობა შეთანხმებისა, რომელიც არ შეიცავს არც შეთანხმებას გენერალურ შტატებს შორის, არც პოლიტიკურ კონვენციას და არც საიდუმლო მუხლებს. ეს სახელმწიფოები ცდილობდნენ მხოლოდ მიეძებნათ ნიადაგი შეთანხმებისათვის, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ განეახლებინათ საზღვაო განიარაღების კომისიის მუშაობა და ხელს შეუწყობდა ამ მუშაობის დასრულებას. ორივე მთავრობა მოქმედებდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ საერთო შეთანხმებისთვის“ (ადს).

ლაყბობა განიარაღების შესახებ

გერმანიის დელეგაცია დათმობაზე წავიდა.—ლიგის მიერ მიღებულ რეზოლიუციას საფრანგეთის გამარჯვებად თვლიან

ჟენევა, 23 სექტემბერი. გერმანიის და უნგრეთის დელეგატებმა განიარაღების კომისიაში განაცხადეს, რომ ისინი ერთა ლიგის პლენუმზე თავს შეიკავებენ იმ რეზოლიუციის კენჭის ყრის დროს, რომელიც შეეხება განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევას. გერმანიის პოზიციის დასაბუთების დროს ბერნსტორფმა აღნიშნა, რომ ამ რეზოლიუციის საბოლოო ტექსტი თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება გერმანიის პროექტისაგან, მაგრამ მაინც ქმნის გერმანიის წინადადებათა პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობას. გერმანიის მთავრობის ასეთი პოზიცია ერთა ლიგის პლენუმს საშუალებას აძლევს მიიღოს ეს რეზოლიუცია. ჟენევის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ კომისიის მიერ მიღებული პროექტი არ შეიცავს მოთხოვნებს, რომლებიც გერმან მიულერმა ერთა ლიგის პლენუმზე წამოაყენა და რომლებიც კატეგორიულად აღნიშნავენ, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობა სასწრაფოდ უნდა იქნას დამთავრებულიო. რეზოლიუციის პროექტში არაფერია ნათქვამი აგრეთვე კელოგის ხელშეკრულებაზედაც. რეზოლიუციის იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოსამზადებელი კომისიის მოწვევას, ნათქვამია:

„წინადადება მიეცეს ერთა ლიგის საბჭოს, დაავალოს ლოუდენს დაინტერესებულ მთავრობებთან შეთანხმებით, მოლაპარაკების მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, მოიწვიოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია 1928 წლის ბოლოში ან, ყოველ შემთხვევაში, 1929 წლის დასაწყისში“.

ამ რეზოლიუციის მიღებას უზრუნველყოფას ჟენევის პოლიტიკურ წრეებში სთვლიან საფრანგეთის გამარჯვებად, რომელიც დაინტერესებულია ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისის შენარჩუნებაში, რაიც სასურველ ბაზას წარმოადგენს იმისათვის, რომ საზღვაო და ხმელეთის შეიარაღების შემცირების საკითხი განხილულ იქნას საფრანგეთისათვის ხელსაყრელ პირობებში. ხაზს უსვამენ, რომ კუშენდენის ვითომ დათმობა და დათანხმება იმ ფორმულაზე, რომელიც შეიცავს მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადის დაახლოებით განსაზღვრას, არაფერს არ ავალებს ინგლისის მთავრობას. ეს მტკიცდება კერძოდ იმით, რომ ინგლისის წრეები გაკვრით აღნიშნავენ, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებმა საეჭვოა მიიღონ მონაწილეობა მოსამზადებელი კომისიის უახლოესი სესიის მუშაობაში, თუ შეერთ. შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება საზღვაო კომპრომისის შესახებო (ადს).

პოლონეთის პოლიციის „აღმოჩენა“

ვარშავა, 23 სექტემბერი. პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“ იუწყება, რომ ნოვოგრუდის სავოევოდოში აღმოაჩინეს „გრანდიოზული ჯაშუშური აფიორა“. ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს მრავალი ბელორუსი. დაპატიმრებულთა შორის შვიდს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა (ადს).

არგენტინა ჩქარა იცნობს საბჭოთა კავშირს

ბერლინი, 23 სექტემბერი. „ბერლინელ ტაგებლატ“-ი აქვეყნებს თავისი სამხრეთ-ამერიკელი კორესპონდენტის ცნობას. კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ არგენტინის ახალი პრეზიდენტის ირიგსენის საგარეო პოლიტიკის ერთი პირველი აქტთაგანი საბჭოთა კავშირის ცნობა იქნებაო.

„საბჭოთა კავშირის ცნობა არგენტინის მიერ,—სწერს კორესპონდენტი,— შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს“. (ადს).

შეერთებული შტატები არჩევნების წინ

უორკერს პარტის მოწოდება

ნიუ - იორკი, 23 სექტემბერი, უორკერს პარტი ამ ჟამად პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას იღებს 25 შტატში. 1924 წელს პარტიამ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 14 შტატში. „ამერიკის ლეგიონი“ და სხვა ფაშისტური ორგანიზაციები ცდილობენ საშუალება არ მისცენ პარტიას გამოვიდეს არჩევნებში მთელ რიგ შტატებში. ჯერჯერობით ფაშისტების ცდა უნაყოფოა. (ადს).

პოლონეთს უჩვენეს თავისი ადგილი

„ვოლონტე“ ზალესკის უსაფუძვლო პრეტენზიების შესახებ

პარიზი, 23 სექტემბერი. საფრანგეთის პრესა ეხება ზალესკის ჩამოსვლას პარიზში. ამ ჩამოსვლას იგი უკავშირებს მოლაპარაკებას რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ.

„ვოლონტე“ ხაზგასმით აღნიშნავს —ზალესკი პარიზში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ მოითხოვოს პოლონეთის მონაწილეობა მომავალ მოლაპარაკებაში. გაზეთი სწერს:

„ჩვენს პოლონელს მეგობრებს არ უნდა მოსდიოდეთ შეცდომები იმ პოლიტიკის ხასიათის გარკვევის დროს, რომელიც საფრანგეთმა უნდა გაატაროს. ჩვენს პოლონელ მეგობრებს ჰგონიათ, რომ საფრანგეთი აღმოსავლეთ ევროპაში უიმათოდ ვერაფერს ვერ გახდება, რადგან ის დაინტერესებულია იმაში, რომ შენახულ იქნას ბუფერი გერმანიასა და რუსეთს შორის. ეს კონცეპცია იყო მილიერანის საფრანგეთში, მაგრამ ეს კონცეპცია არ არის ბრიანის საფრანგეთში. საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვება ჩვენ არა ნაკლებად გვჭირდება, ვიდრე საფრანგეთ-პოლონეთის მეგობრობა. თანამშრომლობა პარიზსა და მოსკოვს შორის ჩვენთვის იმდენადვე ხელსაყრელია, რამდენად ხელსაყრელია თანამშრომლობა პარიზსა და ვარშავას შორის. რეინის საკითხი ისეთი საქმეა, რომელიც ეხება მხოლოდ და მხოლოდ მისით უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოებს, ამასთან არ უნდა იქნას დავიწყებული ისიც, რომ რეინის ოლქის ევაკუაციას არასოდეს არ უყურებდნენ ისე, როგორც პოლონეთის საზღვრების გარანტიას“.

შემდეგ გაზეთი აღშფოთებას გამოსთქვამს ვოევოდა იუზეფსკის გამოსვლის გამო: „პოლონეთი, ბაძავს რა ცნობილი იგავის ბაყაყს, რომელსაც უნდოდა სიდიდით ხარს გასტოლებოდა, საეჭვოა მოქმედებდეს თავისი ნამდვილი ინტერესების სასარგებლოდ. (ადს).

პოლონეთი მოლაპარაკებაში მონაწილეობას არ მიიღებს

ბერლინი, 23 სექტემბერი. გერმანიის მთავრობის წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლონეთის მონაწილეობაზე რეინის ოლქის ევაკუაციისა და სარეპარაციო პრობლემის შესახებ მოლაპარაკებაში. დასავლეთის სახელმწიფოთა გარდა, მოლაპარაკებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იაპონიას, როგორც ელჩთა კონფერენციის წევრს. (ადს).

ფრანგი ფეიქრები საყოველთაო გაფიცვისათვის ემზადებიან

პარიზი, 23 სექტემბერი. ფეიქართა გაფიცვა, რომელიც ალუენში დაიწყო, მეზობელ რაიონებსაც მოედო. გაფიცულთა საერთო რიცხვმა 15.000-ს მიაღწია.

ფეიქართა უნიტარული ფედერაცია აწყობს ფულის შეკრებას გაფიცულთა დასახმარებლად. ფეიქართა დიდ მიტინგზე არმანტიერში ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც წამოყენებულია მოთხოვნა გენერალური გაფიცვის დაწყების შესახებ ორშაბათიდან.

„მატენ“-ი, აღნიშნავს რა გენერალური გაფიცვის გავრცელების შესაძლებლობას ლილსა და რუბეში, სწერს:

„ამით უნიტარულმა პროფკავშირებმა მახვილი ჩასცეს რეფორმისტებს, რომელთაც აღნიშნულ რაიონებში საკმაოდ მკვიდრი პოზიცია უჭირავთ და რომელთაც გადაჭრით გაილაშქრეს გენერალური გაფიცვის წინააღმდეგ.

რეფორმისტთა ორგანომ „პეპლ“-მა ერთი სიტყვაც კი არ უძღვნა გაფიცვას. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

დროებითი ზავი

პეკინი, 23 სექტემბერი. როგორც იაპონურ წყაროებიდან იუწყებიან, მუკდენის ჯარებსა და ჩილი-შანდუნის ჯარის ნაშთებს შორის დადებული ზავი შემდეგს პირობებს შეიცავს: ჩილის ყოფილი დუბანი ჩუ-იუ-პუ უარს ამბობს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ტერიტორია შანხაი-გუანის დასავლეთით ტიან-ცზინამდე, როგორც საბუფერო ზონა ნაციონალისტებსა და მუკდენს შორის, გადაეცემა ჩან ცზუნჩანს.

სხვადასხვა წრეებში ეს შეთანხმება მიაჩნიათ როგორც ნანკინელების, ისე მუკდენის დამარცხებად (ადს).

იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება

ტოკიო, 23 სექტემბერი. იაპონიის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ იმ ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ იაპონიის მთავრობა „შესაძლებლად სთვლის მოლაპარაკება აწარმოოს ნანკინის მთავრობასთან, უწინარეს ყოვლისა, „ცზინანის ინციდენტის“ მოსაგვარებლად“-ო.

გაზეთები „დზი-დზი“ და ნიცი-ნიცი“ ფიქრობენ, რომ იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს მოლაპარაკება აწარმოოს ჯერ მხოლოდ ცზინანის ინციდენტის შესახებ და განზე გადასდოს საკითხები იაპონია-ჩინეთის სავაჭრო ხელშკრულების, მანჯურიისა და მონღოლეთის შესახებ. (ადს).

იაპონიას განზრახული აქვს განაგრძოს ჩინეთის პროვინციათა ოკუპაცია

პეკინი, 23 სექტემბერი. ამ დღეებში ჩამოსულმა იაპონიის გენერალური შტაბის წარმომადგენელმა გენერალმა სკამოტომ ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იაპონიის ძალთა შემდეგი შესუსტება შანდუნში შეუძლებელია, ვინაიდან „იაპონიას მტკიცედ უნდა ეჭიროს ხელში ეს პროვინცია“. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადა სკამოტომ, შანდუნიდან იაპონიის ჯარების გაყვანის შემდეგ, ჩინეთი შეუძლია მანჯურიის ევაკუაციის მოთხოვნაც. რაც „პირდაპირ შეუძლებელია“. (ადს).

რუმინელი ჯალათების მხეცობა

მოსკოვი, 24 სექტემბერი. რუმინეთის ყველა საპყრობილედან—ბესარაბიიდან, სემიგრადიიდან და დობრუჯიდან—მოდის ცნობები, რომ რუმინელი ჯალათები განსაკუთრებით მხეცურად ეპყრობიან დაპატიმრებულ რევოლიუციონერებს. რემედასის ალმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება მშრომელთადმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მშრომელთა ძმური საერთაშორისო თანაგრძნობის გამოცხადება ყოველთვის ამხნევებდა დატყვევებულ რევოლიუციონერებს და უკან ახევინებდა ჯალათებს.

„დაე, ახლაც,—ნათქვამია მოწოდებაში,— ჩვენმა მოწოდებამ ფეხზე დააყენოს ყველა ქვეყნის მშრომელნი და ყველა პატიოსანი ადამიანი. დაე ვერაგ ჯალათებსა და მათ მიერ სასიკვდილოდ განწირულ თავდადებულ რევოლიუციონერთა შორის ჩადგნენ მილიონობით აღშფოთებულნი“ (ადს).

ექმანის სამინისტრო

სტოკჰოლმი, 23 სექტემბერი. შვეციის პოლიტიკურ წრეებში ბევრს მსჯელობენ ექმანის ახლანდელი მთავრობის ბედიბალზე. როგორც სჩანს, ექმანი სცდილობს შეინარჩუნოს თავისი მთავრობა იმ დრომდე მაინც, სანამ იანვარში რიკსტაგი გაიხსნებოდეს. მემარჯვენეთა ბელადი ლინდმანი აცხადებს: მემარჯვენეთა მინიმალურ მოთხოვნას იმისთვის, რომ მათ მხარი დაუჭირონ მთავრობას, შეადგენს: უმუშევართათვის დახმარების მიცემის შეწყვეტა, უმუშევართა დაზღვევაზე უარის თქმა და მრეწველობაში მშვიდობიანობის დასაცავად ზომების მიღება. შესაძლებელია, რომ ეხლანდელს მთავრობასა და მემარჯვენეთა შორის კომპრომისი მოხდეს (ადს).

კატასტროფა ფლორიდაში

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. გრიგალისა და ნიაღვრების გამო დაღუპულთა რიცხვი ფლორიდაში, უკანასკნელი გამოანგარიშებით, 1.500 კაცამდე აღწევს. რამდენიმე ასი გვამი (უმრავლესობა ზანგები შეადგენენ) ხელისუფლებამ საერთო საფლავში დამარხა. შტატის ზოგიერთ რაიონში დაღუპულთა გვამები ჯერ კიდევ დაუმარხავი ჰყრია. ამერიკის წითელმა ჯვარმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ფლორიდაში დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად აუცილებლად უნდა იქნას შეგროვილი 5 მილიონი დოლარიო (ადს).

ფეიქართა მემარცხენე ფრთის კონფერენცია

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. ნიუ-იორკში გაიხსნა ფეიქართა მემარცხენე ფრთის კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა ფეიქართა რევოლიუციონური კომიტეტის მიერ. კონფერენცია განიხილავს საკითხს ფეიქართა ახალი რევოლიუციონური პროფსაბჭოს ორგანიზაციის შესახებ. კონფერენციაზე წარმოდგენილი არიან ყველა მსხვილი სამრეწველო ცენტრის ფეიქრები. (ადს).

ბულგარეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ვენა, 23 სექტემბერი. ავსტრიის კომუნისტური პარტიის ორგანო „როტე ფანე“-ში გამოქვეყნებულია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცეკას მოწოდება.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ დიდი ნაწილი იმ ცნობებისა, რომლებიც გამოაქვეყნა ბულგარეთის პოლიციამ ბულგარეთის კომუნისტების მუშაობის შესახებ, წარმოადგენს პოლიციის მოცლილი ფანტაზიის ნაყოფს, ხოლო მცირედი ნაწილი ძალით ათქმევინეს დაპატიმრებულთ უზომო წამების საშუალებით.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია არ არის ინდივიდუალური ტერორისტული აქტების მომხრე. იგი აწყობს მშრომელთა რევოლიუციონურ, პოლიტიკურ, მასიურ ბრძოლას. ბულგარეთის მუშათა პარტია და დამოუკიდებელი პროფკავშირები არ წარმოადგენენ კომუნისტური პარტიის „ქვეგანყოფილებებს“ და არ არიან მასთან ორგანიზაციულად დაკავშირებული. ბულგარეთის კომუნისტური პარტია არ იღებს არავითარ დახმარებას საბჭოთა მთავრობისაგან და სახსარს ჰკრეფს მხოლოდ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთაგან. ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, როგორც ინტერნაციონალურ პარტიას შეუძლია მიიღოს დახმარება საერთაშორისო პროლეტარიატისაგან. რემედასი ლეგალური ორგანიზაციაა ყველა ქვეყანაში, ფაშისტურ ქვეყნების გარდა, და დახმარებას უწევს ფაშისტური თეთრი ტერორის ყველა მსხვერპლს. ბულგარეთის კომუნისტური პარტია იბრძვის ლეგალური არსებობის პირობებისათვის, ხოლო სანამ ეს მიზანი არ იქნება მიღწეული, იარსებებს არალეგალურად და ხელმძღვანელობას გაუწევს მასიურ ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე (ადს).

თურქეთი და ალბანეთი

სტამბოლი, 23 სექტემბერი. გაზეთი „ჯუმხურიეთ“-ი ადასტურებს, რომ თურქეთის მთავრობამ მოსთხოვა ალბანეთს იმ ადგილების დაბრუნება, რომლების შემოსავალიც დანიშნული იყო სულთანის პირადი საჭიროებისათვის. სხვათა შორის, თურქეთმა მოითხოვა ის ნავთიანი ადგილებიც სელინიცში, რომლებიც ალბანეთმა იტალიელებს გადასცა საკონცესიო პირობებით. (ადს).

„კრასინის“ მეორე რეისი

ცნობები „კრასინი“-ს მუშაობის შესახებ

ყინულისმჭრელი „კრასინი“, 23 სექტემბერი. 22 სექტემბერს, 5 საათზე, ყინულისმჭრელი „კრასინი“ მიუახლოვდა გლეტჩერ ვორჩესტერს და ღუზა გადააგდო ალექსანდრეს მიწის მახლობლად. შეეცადნენ მოენახათ ადგილი ნაპირზე გადასასვლელად, მაგრამ ციცაბო ადგილებმა შეუძლებელი გახადეს მიწაზე გადასვლა. ყინულისმჭრელი გაემართა ალექსანდრეს მიწის და გიორგის მიწის გასწვრივ. 10 საათზე ყინულისმჭრელი გაჩერდა პილის კონცხის მახლობლად. სანაპირო ზოლის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩენილ იქნა შესაფერი ადგილი თავშესაფარის ასაგებად და სურსათის საწყობისათვის. მიწაზე, რომელიც, საკავშირო ცაკის დეკრეტის მიხედვით, საბჭოთა კავშირს ეკუთვნის, აღმართულ იქნა საბჭოთა დროშა. შეუდექით სურსათისა და სახლის ასაშენებელი მასალის გადატვირთვას ნაპირზე. მაგრამ 18 საათზე იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა სახლის აგება, რადგან ძლიერმა ქარმა გვაიძულა დავბრუნებულიყავით გემზე და მოგვეძებნა ახალი ადგილი გემის გასაჩერებლად. 23 სექტემბერს ყინულისმჭრელი „კრასინი“ გაემართა სამხრეთ-დასავლეთისაკენ და მოემართა ფრანც იოსების მიწის ნაპირებს. ზღვაზე გრიგალია (ადს).

პროფესორ სამოილოვიჩის მოხსენებები

მოსკოვი, 24 სექტემბერი. პროფესორ სამოილოვიჩისაგან მიღებული ცნობის თანახმად, „კრასინი“ მივიდა ალექსანდრეს მიწასთან და მიდის ლუდლოვის კონცხისაკენ. მთელი ალექსანდრეს მიწა დაფარულია მთლიანი ყინულით, რომლის სიმაღლე 458 მეტრს უდრის. ვინაიდან ტემპერატურა შეადგენს მინუს 10 გრადუსს, რის გამოც სწრაფად იქმნება ახალი ყინული და ძველი ყინულიც მაგრდება, სამოილოვიჩს განზრახული აქვს შესცვალოს კურსი და გასწიოს სამხრეთისაკენ ყინულებისაგან თავისუფალ წყალზე გამოსასვლელად. ამასთან დაკავშირებით, „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა წინადადება მისცა „კრასინს“—დაბრუნდეს ლენინგრადში. კომიტეტის აზრით, „კრასინის“ მიერ ლუდლოვის კონცხის (ფრანც იოსების მიწაზე) მიღწევა მოწმობს იმას, რომ კომიტეტის მიერ ამუნდსენის და ალესანდრის ჯგუფის საბოლოო ძებნისათვის დასახული ამოცანა შესრულებულია, ყინულების მდგომარეობამ აიძულა კომიტეტი მიეცა „კრასინისათვის“ წინადადება—დაიძრას სამხრეთისაკენ და დაბრუნდეს ლენინგრადში.

საბჭოთა კავშირის თანამშრომელს „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტში განუცხადეს, რომ „კრასინი“ ლენინგრადის ნავთსადგურში მოვა არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა. ყინულისმჭრელს ზემოთ შეხვდებიან ზღვაზე და ნავთსადგურში მრავალმა საზოგადოებრივმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციამ მიმართა კომიტეტს თხოვნით, შუამდგომლობა აღძრას საბჭოთა კავშირის მთავრობის წინაშე „კრასინ“-ზე და „მალიგინ“-ზე მომუშავე საბჭოთა ექსპედიციების დაჯილდოვების შესახებ. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება ადგენს ექსპედიციის მუშაობის შესახებ საანგარიშო კამპანიის ჩატარების გეგმას. მოხსენებები წაკითხული იქნება არა მარტო მოსკოვსა და ლენინგრადში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ლენინგრადში დაბრუნების შემდეგ „კრასინის“ ექსპედიცია ჩამოვა მოსკოვში და მოხსენებას გააკეთებს საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმსა და „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტის საზეიმო გაფართოებულ სხდომაზე. შემდეგ სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი გაემგზავრებიან ევროპასა და ამერიკაში, სადაც მოხსენებებს წაიკითხავენ ექსპედიციის მუშაობის შესახებ. ექსპედიციის სხვა მონაწილენი მოხსენებებს წაიკითხავენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„ჩვენი დროის დამახასიათებელი მოვლენა“

მოსკოვი, 24 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა“-ს კორესპონდენტი ბრიმლუნდი შემდეგს იტყობინება საპარლამენტო არჩევნების შედეგების შესახებ შვეციაში.

როგორც უკვე საბოლოოდ გამოირკვა, შვეციის კომუნისტურ პარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნების დროს ქალაქ სტოკჰოლმში. 1924 წლის არჩევნებზე კომუნისტურმა პარტიამ სტოკჰოლმში შეკრიბა 6.887 ხმა, მიმდინარე არჩევნებზე კი—27.000 ხმა.

შვეციის მენშევიკების ორგანო გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“-ც კი იძულებულია აღიაროს სოციალ-დემოკრატების სრული დამარცხება. ბურჟუაზიული გაზეთი „დაგენს ნიუეტერ“-ი, ეხება რა არჩევნების შედეგებს, აცხადებს, რომ კომუნისტური პარტიის ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენი დროის დამახასიათებელი მოვლენააო.

საქართველოს ტკეჩის ქარხნების ნაკლი

მოსკოვი,22 სექტემბერი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაასრულა საბჭოთა კავშირში არსებულ ტკეჩის ქარხნების გამოკვლევა. გამოკვლევის დროს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ტკეჩის მნიშვნელობას ერბო - კარაქის ექსპორტის გაძლიერებისათვის.

ინსპექციის გამოკვლევაში საქართველოს ტკეჩის ქარხნების შესახებ ნათქვამია შემდეგი:

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ვერ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას ტკეჩის ქარხნებს, რამაც არევ - დარევა შეიტანა მუშაობაში და შეუძლებელი გახადა საქმის გეგმით წარმოება.

ბათომის ქარხანა აჭარისტანის სამრეწველო ამხანაგობამ სრულიად დახურა ორი წლით და გადაიტანა სხვა ტერიტორიაზე, რაც საქმის ინტერესებისათვის მავნებელი იყო.

ბორჯომის სატკეჩე ქარხანა აგებულია უპროექტოთ, და საალმშენებლო ნედლეული ბაზისის შეუსწავლელად.

ინსპექციის გამოკვლევაში ბორჯომის სატკეჩე ქარხნის შესახებ აღნიშნულია აგრეთვე მთელი რიგი სერიოზული დეფექტები ქარხნის ტეხნიკურად მოწყობის დარგში. ტკეჩის თვით ღირებულება ოთხჯერ აღემატება ნავარაუდევ ფასს. ქარხნის მართველობა ცნობილ იქნა, როგორც სუსტი და არადამაკმაყოფილებელი.

„შეუსწავლელი მხარე“

მოსკოვი, 24 სექტემბერი. „ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“-ში დაბეჭდილია ამხ. მიხ. სმირნოვის ვრცელი წერილი შემდეგი სათაურით —„შეუსწავლელი მხარე“. წერილი შეეხება ამიერ- კავკასიის სიმდიდრეს მადნეულობით.

ამიერ-კავკასიას, სწერს ავტორი, აქვს უაღრესად დიდი პერსპექტივები სამთო ქიმიურ მრეწველების განვითარების დარგში. სამწუხაროდ დღემდე ძალიან ცოტაა გაკეთებული ამ ქვეყნის მადნეულობის გამოსაკვლევად. ეს საქმე უნდა მოეწყოს ფართე ორგანიზაციულ ნიადაგზე. ამ მიზნით საჭიროა დაარსდეს ამიერ-კავკასიის გეოლოგიური კომიტეტი.

26-ის საღამო მოსკოვში

მოსკოვი, 24 სექტემბერი. წითელ არმიის სახლში მოეწყო დიდი საღამო ბაქოს 26 კომისარის ხსოვნის აღსანიშნავად. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. აბელ ენუქიძემ.

ამის შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მიქოიანმა. ორატორი შეეხო ამიერ-კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას 1918 წელში და დაწვრილებით შეჩერდა იმ პირობებზე, რამაც გამოიწვია ბაქოს 26 კომისარის დაღუპვა.

საღამოზე მოგონებით გამოვიდა კოლესნიკოვის ქალი, რომელმაც მრავალი საყურადღებო ფაქტები აღნიშნა ამიერ-კავკასიის პირველ რევოლიუციონურ მთავრობის მუშაობიდან. ამხ. კოლესნიკოვის ქალი ბაქოს მთავრობის ყოფილი წევრია, ის იყო სახალხო განათლების კომისარი 1918 წელში.

საღამოს დაესწრო ალიოშა ჯაფარიძის ცოლი და 26-თა შორის დახვრეტილ ზევინის შვილი.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

უკანასკნელი ცნობები

პოლიციის ყაჩაღური თავდასხმა კარპატების რუსეთში

პრაღა, 24 სექტემბერი. ამ დღეებში კომუნისტმა დეპუტატმა კარპატების რუსეთიდან გაიტომ განაცხადა, რომ პოლიცია ყაჩაღურად დაესხა თავს სოფელ ბორონიავას, ქალაქ ხუსტას მახლობლად, კარპატების რუსეთში. ბორონიავას მუნიციპალიტეტში უმრავლესობას შეადგენენ კომუნისტები, რომელთა ზომები უკმაყოფილებას იწვევენ მოსახლეობის კულაკურ ნაწილში. 8 სექტემბერს სოფელს თავს დაესხა თოფებით და რეზინის ჯოხებით შეიარაღებული 18 პოლიციელი. პოლიციელებმა სოფელი დაარბიეს და საშინლად სცემეს 84 კაცს. მაგრამ არავინ არ დაუპატიმრებიათ და არც რაიმე ოქმი შეუდგენიათ. გაიტის განცხადების გამო მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც არ უარჰყოფს პოლიციის თავდასხმას, მაგრამ მას იმით ხსნის, რომ პოლიციას ქურდების დაჭერა უნდოდა. კომუნისტმა დეპუტატმა ხლოუბამ მოითხოვა, რომ პრემიერის მოადგილე შრამეკი და შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტში გამოცხადებულიყვნენ ახსნა-განმარტების მისაცემად, პარლამენტის უმრავლესობამ ეს მოთხოვნილება უარჰყო (ადს).

ექვსი სახელმწიფოს შეთანხმება

ბერლინი, 24 სექტემბერი. გერმანიის პრესა ემყარება სარწმუნო წყაროებს და იუწყება, რომ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, იაპონიისა და გერმანიის შორის მიღწეული შეთანხმებებით, ჟენევაში იქნება სპეციალური კომისია 6 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან. კომისიის შექმნა მიჩნეული იქნება პირველ ნაბიჯად რეინის ოლქის დაცლის შესახებ გამართულ მოლაპარაკებაში. ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს წინადადება ექსპერტების კომისიის დანიშვნის შესახებ სარეპარაციო გადასახადების საკითხზე და გამომკვლევი და მომწესრიგებელი კომისიის კომპეტენციისა და არსებობის ვადის შესახებ (ადს).

დიდი ხანძარი მადრიდის თეატრში

პარიში, 24 სექტემბერი. 23 სექტემბერს ღამით ხანძარმა გაანადგურა მადრიდის უდიდესი თეატრი. ხანძარი გაჩნდა კულისებში უკანასკნელი ანტრაქტის დროს. თეატრში, რომელსაც გამოსასვლელები ცოტა ჰქონდა, ამ დროს 8.000-მდე კაცი იყო. საზოგადოების ნაწილმა სავარძლებიდან და ბენუარის ლოჟებიდან თავს უშველა, მაგრამ ცეცხლი მეტად სწრაფად გადავიდა დარბაზში და მოედო მთელ შენობას. იმ მიზნით, რომ საზოგადოება პანიკას არ მიეცა; ორკესტრი განაგრძობდა დაკვრას, მაგრამ ხანძრის საშინელი სისწრაფით გავრცელების გამო ხალხში მაინც გავრცელდა პანიკა. ხალხი აწყდებოდა გამოსავალს და ერთმანეთს სთელავდა. წინასწარი ცნობებით, დაშავდა 850 კაცი. აქედან 80 მძიმედ დაშავებულია, სამი მოკვდა. ფიქრობენ, რომ რამოდენიმე ასეულმა მაყურებელმა თეატრიდან გამოსვლა ველარ მოასწრო. თეატრი სრულებით დაიწვა. ამფითეატრისკენ მიმავალ ერთ-ერთ კიბეზე ნახეს 25 ერთმანეთზე დაყრილი გვამი. გაზეთების ცნობით, ნანგრევებიდან უკვე ამოღებულია 45 გვამი. მსხვერპლის ნამდვილი რაოდენობის გამორკვევა ჯერ კიდევ შეუძლებელია, ვინაიდან ძლიერი სიცხე შეუძლებელს ხდის შენობის ზოგიერთ ნაწილთან მიახლოვებას. თეატრი ერთ საათში დაიწვა. ხანძრის მიზეზი გამოურკვეველია. ძლიერ დაზარალდა თეატრის მახლობელი ზოგიერთი შენობა (ადს).

—:

ამხ. ბარინოვის და ბულგაკოვის ჩამოსვლა

24 სექტემბერს ბაქოდან თბილისში ჩამოვიდნენ აზნავთის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბარინოვი და ბაქო-ბათომის ნავთსადენის მთავარი ინჟენერი ბულგაკოვი. თბილისიდან ამხ. ბარინოვი და ბულგაკოვი გაემგზავრებიან ნავთსადენის სამუშაოების დასათვალიერებლად ხაშურსა და ბათომს შუა.

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივები

პურის დასამზადებელი გეგმის განხორციელების შესახებ

მოსკოვი, 24 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. მიქოიანმა პურის დამზადების შესახებ სადირექტივო წერილით მიმართა ვაჭრობის ყველა სახალხო კომისარიატს, საოლქო სავაჭრო სამმართველოს და აგრეთვე საოლქო და საგუბერნიო სავაჭრო განყოფილებას.

ამხ. მიქოიანი აღნიშნავს, რომ პურის დამზადების საქმე საგრძნობლად დაგვიანდა და რომ პურით მომარაგების გეგმა ჩაიშალა, მაგრამ აგვისტოს ბოლოში და სექტემბრის დასაწყისში პურის დამზადების საქმე საგრძნობლად გამოცოცხლდა. სექტემბერში მაქსიმალურად უნდა გავაძლიეროთ პურის დამზადება, რომ კვარტალური გეგმა შესრულებულ იქნას. კამპანიის პირველ ნახევარში პურის დამზადების გაძლიერებული ტემპით უნდა უზრუნველვყოთ პურის დამზადების წლიური გეგმის რაც შეიძლება მეტი ნაწილის განხორციელება.

წარსულში პურის დამზადებას თან ახლდა მრავალი სერიოზული ნაკლი. მომავალში საჭიროა პურის დასამზადებელ მუშაობაში პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა, აგრეთვე პურის დამამზადებელი აპარატის ნაკლთა გამოსწორება სასწრაფოდ და ფასის პოლიტიკის სასტიკი დაცვა.

უნდა მოისპოს კონკურენცია დამამზადებელთა შორის, კერძოდ უნდა შესწყდეს ბოროტი აგიტაცია ზოგი დამამზადებლებისა, რომ მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადოს სხვა დამამზადებლებს. არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები გლეხების დაფრთხობა საგანგებო ზომებზე სიტყვის გადაკვრით, კოოპერაციამ გულდასმით უნდა უხელმძღვანელოს თავის მუშაკებს. არც ერთი ბოროტმოქმედება არ უნდა დარჩეს გამოურკვეველი და სათანადო ზეგავლენის გარეშე.

დამამზადებელი აპარატის ძირითადი კადრები გადასინჯული უნდა იქნან ზედა საფეხურიდან ქვედა საფეხურამდე და სუსტი და უვარგისი მუშაკები უნდა შეიცვალონ ისეთებით, რომლებიც პურის დამზადების საქმეში უზრუნველყოფენ ყველა დირექტივის გატარებას.

ყოვლად დაუშვებელია ოფიციალურ ინსტრუქციებთან და დირექტივებთან ერთად არა ოფიციალური, ოფიციალურის საწინააღმდეგო ან მათი სრულიად გამაბათილებელი ინსტრუქციებისა და დირექტივების მიცემა. არაოფიციალური დირექტივების მიმცემი და შემსრულებელი სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პურის დამამზადებელი აპარატის ყოველი საფეხური იჩენდეს ნამდვილ აქტივობას და გრძნობდეს პასუხისმგებლობას პურის დამზადებისათვის.

პურის დასამზადებელ ღონისძიებათა განხილვასა და გატარებაში უნდა ჩაბმულ იქნას კოოპერატიული საზოგადოებრიობა და ღარიბი გლეხობის ორგანიზაცია. ამისათვის გლეხებს შორის უნდა ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ სოფლის კოოპერატივები მაგალითს წარმოადგენდნენ თავიანთი ზედმეტი საქონლის დროზე და სრული რეალიზაციის საქმეში.

უნდა მოეთხოვოს პარტიულს, საბჭოთა და კოოპერატიულს ორგანოებს რომ მათ პასუხისმგებელი მუშაკები მიავლინონ პურის დამზადების საქმეში სამუშაოდ.

პურის დამზადების საქმეში არ უნდა იქნას დაშვებული რაიმე დარღვევა და დირექტივების გვერდის ახვევა.

ადგილობრივ დამამზადებელთა ტექნიკური მომზადება უნდა შემოწმებულ და გაუმჯობესებულ იქნას. სასტიკად უნდა იქნას გამოძიებული პურის მიღებაზე უარის თქმის ან დაყოვნების თვითეული ფაქტი. დამამზადებელნი ვალდებულნი არიან მიიღონ პური, რაც უნდა ნაკლებად გამომშრალი იყოს იგი, ამასთან უნდა უზრუნველყონ მისი გაშრობა და სათანადოდ გამოყენება.

რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნან ამა თუ იმ რაიონის მომხმარებელნი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გაშრობის საქმეს. გაშრობის საქმეში დახმარებისათვის ცენტრს უნდა მიემართოს სასწრაფოდ, უნდა აღმოიფხვრას ყოველი ნაკლი პურის მიღების დროს გლეხებთან ანგარიშის გასწორების საქმეში, და ამ ანგარიშის გასწორების წესების დარღვევის თვითეულ ფაქტს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

უნდა უზრუნველყოფილ იქნას მთელი დამამზადებელი აპარატის სათანადო დამოკიდებულება გლეხობასთან. უნდა მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა, რომ პურის დამზადება მაქსიმალურად შეეხოს მივარდნილ რაიონებს და იქიდან პური დროზე იქნას გატანილი შორეული პუნქტებიდან რკინის გზის სადგურებზე პურის მისაზიდად უნდა დამზადდეს სათანადო ტრანსპორტი. საჭიროა ფინანსიური სახსრების მოხერხებულად მოხმარება, ამ სახსრების რაიონებს შორის სისწორით განაწილება; უნდა აღმოიფხვრას ფულის გაცემის საქმის შეფერხება.

განსაკუთრებულ ამოცანად ამ მომენტში უნდა ჩაითვალოს მაქსიმალური დაჩქარება პურის მოძრაობისა და გადმოტვირთვისა. ჩასაბარებელ პუნქტებში და ელევატორებში პურის მარაგი მინიმუმამდე უნდა იქნას მიყვანილი. პურის მარაგსა და დაკვეთას თვალყური უნდა ვადევნოთ, და იმ შემთხვევაში, როდესაც დამამზადებელთ დაკვეთა არა აქვთ, დაუყოვნებლივ ეცნობოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მახლობელ დღეებში უნდა დასრულდეს გატარება დირექტივისა სპეციალური ქსელის გამოყოფის შესახებ ადგილობრივ პურის დასამზადებლად, ამასთან გარკვეულად უნდა განისაზღვროს ადგილობრივი და ცენტრალიზაციაქმნილი დამამზადებელი ქსელი. ბოლო უნდა მოეღოს პურის დამზადებისთვის საქონლის უმართებულო გამოყენებას; სამრეწველო საქონლის უდიდესი ნაწილი უნდა გაიგზავნოს იმ რაიონებში, სადაც პურის დამზადება გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა იმ გამოსაღების მოკრებას, რომლებიც გლეხობაზე ირიცხება. (ადს).

რედაქტორების სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 24 სექტემბერი. 22 სექტემბერს გაიხსნა რედაქტორების სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირზე ჩამოვიდა 73 რედაქტორი და 10 მუშაკი ადგილობრივი საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილებებიდან. თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია აგრეთვე 25 სამეურნეო მუშაკი. თათბირი გახსნა სრ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის საგ.-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგემ ამხ. კრინიცკიმ. შესავალ სიტყვაში ამხ. კრინიცკიმ აღნიშნა, რომ საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება, პროლეტარიატის შეტევა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, თვითკრიტიკის განვითარება და კულტურული მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში,—ყველაფერი ეს აუცილებელს ხდის გამოვნახოთ საუკეთესო ფორმები იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან.

ამხ. კრინიცკის შესავალი სიტყვის შემდეგ ამორჩეულ იქნა თათბირის პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ: ამხანაგები: მოლოტოვი, იაროსლავსკი, კრინიცკი, ულიანოვა, ინგულოვი, კრუმინი; ფელიქს კონი, დოლეცკი, ურიცკი, ანტოშკინი (მოსკოვი), პეტროვსკი (ლენინგრადი), კოსტროვი, ფილოვი (ქვედა ვოლგის ოლქი), სემიკინი (ჩრდილოეთ-კავკასია), კოლოსი (უკრაინა), ტუმანინი (ურალი), სოროკინი (შუა აზია), ოხმოვი (ბელორუსია), კიკნაძე (ამიერ-კავკასია), პავლოვა („ფეიქართა ხმა“), ციპლინი (ხარკოვი).

პირველი საკითხის შესახებ გამოვიდა ამხ. მოლოტოვი, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა პრესის როლი პარტიის მიმდინარე ამოცანების განხორციელების საქმეში. განსაკუთრებულად შეჩერდა თვითკრიტიკის საკითხზე.

თვითკრიტიკის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. იაროსლავსკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი პრესა არის არა მარტო მუშათა და გლეხთა პრესა, არამედ ისეთი პრესა, რომელშიაც მუშები და გლეხები მეტად უშუალო მონაწილეობას იღებენ. თვითკრიტიკა საშუალებაა მუშათა და გლეხთა მონაწილეობის უფრო გასაფართოვებლად პრესაში, ხოლო პრესის საშუალებით—მთელს სოციალისტურს მშენებლობაში. ყოველნაირად ვანვითარებთ რა თვითკრიტიკას პრესაში, უფრო და უფრო ფართოდ ვაბამთ რა თვითკრიტიკაში მასებს, ამავე დროს ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ხშირად აზვიადებენ უარყოფით ფაქტებს, და ამ შემთხვევაში ვერ ვიცავთ საჭირო პროპორციას. შეცდომათა და ნაკლთა გამონახვით გატაცებამ გამოიწვია რეაქცია—დაიბადა იდეა ისეთი ჟურნალის გამოცემისა, როგორიც არის „ჩვენი მიღწევები“. თვითკრიტიკის განვითარება პრესაში დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პრესის მუშაკებს.

დასასრულ ამხ. იაროსლავსკიმ აღნიშნა, რომ თვითკრიტიკის გატარების დროს საჭიროა მთავარი ყურადღების მიქცევა განსაზღვრულ საკითხებს და საქმე ბოლომდე იქნას მიყვანილი.

კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა 40 ამხანაგზე მეტი. კამათი 28 სექტემბრისთვის გადაიდო (ადს).

პროფესორი შმიდტ-ოტტო ბათომში

ბათომი, 24 სექტემბერი. ღამის მატარებლით თბილისიდან ბათომში ჩამოვიდა აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი გერმანული საზოგადოების თავმჯ. პროფ. შმიდტ-ოტო, რომელსაც სადგურზე შეხვდნენ მთავრობის, განათლების სახალხო კომისარიატის და ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელნი. 23 სექტემბერს შმიდტ-ოტომ დაათვალიერა ბოტანიკური ბაღი და ჩაქვი.

საუბარში ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან შმიდტ-ოტომ განაცხადა:

„მადლობელი ვარ გულწრფელი მიღებისათვის. საქართველოდან მე საუკეთესო შთაბეჭდილება მიმყვება. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ის კავშირი, რომელიც დამყარდა მსოფლიოს სამეცნიერო ორგანიზაციებსა და საბჭოთა კავშირის, კერძოდ საქართველოს მეცნიერებს შორის, ყოველმხრივ განვითარდება და ხელს შეუწყობს ხალხთა ჭეშმარიტ დაახლოვებას და მეცნიერების აყვავებას“.

საღამოს შმიდტ-ოტო გემ „ლოიდ-ტრიესტინო“-თი სტამბოლში მიემგზავრება.

მწერლები პ. ისტრატი და კაზანსაკი თბილისში

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი ბალკანელი მწერლები—პანაიტ ისტრატი და კაზანსაკი, რომლებმაც საბჭოთა კავშირში მოგზაურობის მიზნის შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი:

სექტემბრის დამლევს შესრულდება 8 თვე, რაც ჩვენ საბჭოთა კავშირში ვიმყოფებით. საბჭოთა კავშირში ჩვენ ამჟამად მეორედ ვართ ჩამოსული,—გასულ წელს,—ამბობს მწერალი ისტრატი,—მე დავესწარი ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩატარებას თბილისში. ამავე ხანებში ჩამოვიარე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქები და გავხდი მოწამე იმის, თუ რა აღფრთოვანებით და ენტუზიაზმით დღესასწაულობდა პროლეტარიატი მშენებლობისა და გმირული ბრძოლების ათი წლის თავს. სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ევროპაში დაბრუნებისას ჩემი პირადი შთაბეჭდილებების შესახებ საჯაროთ განვაცხადე. საბერძნეთის მთავრობამ არ მოიწონა ასეთი ჩემი განცხადებანი და, როგორც თქვენ თვის ალბათ უკვე ცნობილია, მე გამაძევეს საბერძნეთიდან.

ასეთივე ბედი ეწია ჩემს მეგობარ მწერალ კაზანსაკის,

ამის შემდეგ ჩვენ შევუთანხმდით მთელ რიგ ამერიკულ და ევროპიულ გაზეთების გამომცემლობებს, რომ მათ მივაწოდებთ მთელ რიგ ახალ შრომებს და კორესპონდენციებს,—სადაც ობიექტიურად იქნება აღწერილი ჩვენს მიერ საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებანი. საზღვარ გარეთის ქვეყნებში საბჭოთა კავშირი სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს და ეჭვი არ არის, რომ ჩვენი წიგნები ფართო ბაზარს იპოვიან მკითხველთა წრეებში.

ჯერ-ჯერობით ჩვენ უკვე ჩამოვიარეთ—მურმანსკი, ვიყავით კარელთა ოლქში, მოვიარეთ ვოლგის მიდამოები, უკრაინა, მოლდავია ასტრახანი და სხვა ქალაქები. თბილისში დავრჩებით 3—4 დღე, რის შემდეგ ვფიქრობთ გავეცნოთ საქართველოს სოფლის ცხოვრებას. საქართველოდან გაზრახული გვაქვს ყირიმისაკენ გამგზავრება, ხოლო შემდეგ თურქესტანში და ციმბირში, ჩვენ ვფიქრობთ მომავალი ზამთარი გავატაროთ იაკუტების ოლქში.

პირველი წიგნის წერას, სადაც ვრცლად აღვწერთ . უკვე ნახულ რაიონებში მიღებულ შთაბეჭდილებებს, ჩვენ შეუდგებით საქართველოში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების დეფექტები

ამხ. მ. კალინინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 1928 წ. 18 სექტემბერს

მოსკოვი, 24 სექტემბ. ამ წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წარსული წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე მეტია დაახლოებით 30 პროცენტით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ რამდენიმე წლის განმავლობაში არ გაგვიდიდებია სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და რომ სოფლის მეურნეობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა, შეიძლება ითქვას, რომ გადასახადის თანხის გადიდება 30 პროცენტით ადგილებზე არ გამოიწვევს დიდ სიძნელეებს.

მაგრამ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ბევრ ადგილას სისწორით არ იყენებენ ახალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. ყოველ შემთხვევაში მრავალი საჩივარი მოგვდის ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორად გამოყენების შესახებ.

რა იწვევს შეცდომებს

ადგილობრივი ორგანოების პირველი და უმთავრესი შეცდომა, ჩემის აზრით, მდგომარეობს შემდეგში. მრავალმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ ახალი კანონი გაიგო როგორც განკულაკება (раскулачивание). ეს კანონი ასე რომ გაეგოთ, მაშინ ადგილი არ ექნებოდა ისეთ შეცდომებს, რომლებიც წარმოადგენენ სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ არსებული კანონის პირდაპირ დარღვევას.

ახალი კანონი, როგორც უკვე ვსთქვი ცაკის სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში, ქმნის უფრო გარკვეულ კლასობრივ ხაზს.

რაში მდგომარეობს კლასობრივი ხაზის რაობა? იმაში, რომ გადასახადის სიმძიმე სხვებზე მეტად დააწვეს მეურნეობის უფრო შეძლებულ კაპიტალისტურ ძალებს. მათ მარტო დაბეგვრის სიმძიმე არ უნდა დააწვეს,—მთავრობა სცდილობს შეამციროს მათი მოგება და შეაჩეროს მათი კაპიტალისტური ზრდა.

საშუალო ფენების დაბეგვრამ არ უნდა დააბრკოლოს ან შეაჩეროს საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარება. ბოლოს, ღარიბი და მცირე შეძლების მეურნეობანი სავსებით განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. სულ საბჭოთა კავშირში განთავისუფლებულია მთელი გლეხობის 35 პროც.

ეს ხაზი ნათლად არის გამოხატული ახალ კანონში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. ამ ხაზის გატარების დროს მთავრობა სრულებით არ ფიქრობდა და არც ფიქრობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაანგრიოს გლეხობის ზედა ფენების მეურნეობა ან მოსპოს კულაკთა მეურნეობანი. მთავრობას არ ჰქონია ასეთი მიზანი, განკულაკების საკითხი რომ იდგეს, მთავრობისათვის საჭირო არ იქნებოდა მიემართა ხელოვნური დამხმარე ზომებისათვის. მთავრობას შეეძლო უშუალოდ გაეტარებია ეს ხაზი.

როცა მთავრობამ დასვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის გადიდების საკითხი, მან მხედველობაში მიიღო გლეხის მეურნეობის საერთო ძლიერება— ეს პირველი. მეორე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების დროს ის გამოდიოდა იმ პრინციპიდან, რომ გადასახადის მეტი სიმძიმე უნდა დააწვეს უფრო ძლიერ მეურნეობებს, მაგრამ ეს მეურნეობანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნან განადგურებული. დაბეგვრის სიმძიმე უნდა იყოს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ ისეთი, რომ მეურნეობამ შესძლოს არსებობა და არ განადგურდეს. თუ დაბეგვრის სიმძიმე ისეთია, რომ მეურნეობას აღარ შეეძლება არსებობა და განადგურდება, ეს იქნება განკულაკება. და ამხანაგებმა ადგილებზე უნდა გაატარონ არა განკულაკების ხაზი, არამედ საშემოსავლო-პროგრესიული დაბეგვრის პრინციპი.

ინდივიდუალური დაბეგვრის მიზანი

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მუხლი (რომელიც ახალია ყველა წინანდელ კანონთან შედარებით) ახალ კანონში არის ერთი მუხლი. ეს მუხლი ითვალისწინებს იმ მდიდარ მეურნეობათა დაბეგვრის განსაკუთრებულ წესს, რომლებსაც ექსპლოატატორული შემოსავალი აქვთ არა საკუთარი შრომიდან.

რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი, როცა ეს მუხლი შეჰქონდა კანონში? საშემოსავლო გადასახადის გატარება ცხოვრებაში საერთოდ ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ჩვენი გლეხური მეურნეობის პირობებში. კანონს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ჩვენ ვანხორციელებთ უდიდეს ტერიტორიაზე, სადაც საქმე გვაქვს მრავალგვარ ეკონომიურ პირობებთან, რომელთა გამო ძალიან ძნელია ყოველი ცალკე მეურნეობის ნამდვილი შემოსავლიანობის გამორკვევა. ამიტომ გლეხის მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა ძნელდება. ამ კანონის მე-28 მუხლის მიზანია შეიტანოს კორექტივი და გამოარკვიოს მეურნეობის ნამდვილი შემოსავლიანობა. დაუშვათ, რომ სოფლად არიან ცალკე პირები, რომლებიც ან სპეკულიაციას ეწევიან ან თანასოფლელებს დამამონავებელ პირობებში აწვდიან ყოველგვარ საქონელს და ფულს, ან სხვაგვარი არა შრომითი შემოსავალი აქვთ, ერთის სიტყვით, აქვთ ისეთი შემოსავალი, რომელიც არ შეიძლება იქნას დაბეგრილი ჩვეულებრივი წესით, შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით. კანონის მე-28 მუხლს მხედველობაში აქვს დაბეგროს ამგვარი შემოსავალი, ამასთან ამ მუხლში პირდაპირ ნათქვამია— ინდივიდუალური წესით შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ექსპლოატატორული არაშრომელი მეურნეობანი და არ შეიძლება ამ მუხლით დაბეგრილ იქნან ისეთი მეურნეობანი, რომლებიც თვალსაჩინონი არიან თავიანთი შეძლებით, მაგრამ რომლებსაც არა აქვთ არაშრომითი ხასიათის შემოსავალი. ამ მუხლის გატარების დროს ადგილი აქვს მრავალ უკანონობას და უეჭველია, რომ ეს უკანონობანი გამოსწორდება.

მაგრამ მე მაინტერესებს არა იურიდიული უკანონობის საკითხი, არამედ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ის ამხანაგობები, რომლებიც ადგილებზე ატარებენ კანონს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და რომლებმაც ეს კანონი პირველ რიგში სწორი პოლიტიკური მიდგომით უნდა გაატარონ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ხომ ერთ-ერთი არქი-პოლიტიკური კამპანიაა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არის ერთ-ერთი რგოლი, რომელიც ამაგრებს კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. თუ სისწორით არ იქნება გატარებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, შეიძლება შეიცვალოს მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობა. ამიტომ იმან, ვინც პრაქტიკულად ატარებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, პირველ ყოვლისა უნდა იფიქროს იმაზე, რომ მისაღებია თუ არა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ესა თუ ის პრაქტიკა გლეხობისათვის. კანონის ყოველ გამტარებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს. როცა იგი ხედავს, რომ კანონის გატარება იწვევს, თუ კონტრრევოლიუციას არა, ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილებას მაინც, მაშინ მან შენიშვნა უნდა გაუკეთოს კანონს, როგორც სთქვა სოკოლოვმა, პრაქტიკული კორექტივი უნდა შეიტანოს მასში. მე მაქვს აქ რამდენიმე საჩივარი, ზოგიერთს მათგან წაგიკითხავთ ილიუსტრაციისათვის.

დამახასიათებელი მაგალითები

საჩივარი მივიღე კალუგის გუბერნიიდან გლეხ ნიკიშინისაგან, რომელიც ჩივის, რომ მას წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეაწერეს 471 მანეთის რაოდენობით. ნიკიშინს აქვს დაბეგვრის შემდეგი ობიექტები: ნათესი 13 ჰექტარი, სათიბი 8,8 ჰექტარი, 2 ცხენი, 2 ძროხა და 2 სული წვრილფეხა საქონელი (ალბად ცხვრები) და შვიდი სკა ფუტკარი. გარდა ამისა, ნიკიშინს აქვს შემოსავალი ქირაზე მუშაობისაგან; ამასთან ეს შემოსავალი დაბეგრილია 75 მანეთის რაოდენობით. ამ მეურნეობის დასაბეგრი შემოსავალი უდრის 1.350 მანეთს. გადასახადი ასეთ შემოსავალზე შეადგენს 279 მან. 75 კ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გადასახადი მეტია იმაზე, რასაც ნიკიშინი იხდიდა შარშან, ვინაიდან ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უფრო მეტად აწვება დიდ ოჯახებს (წელს მიღებულია უკრაინის შკალა, რომელიც განსაკუთრებით სამძიმოა დიდი ოჯახებისათვის), ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს მეურნეობა დაბეგრა ინდივიდუალური წესითაც, ე. ი. ეს მეურნეობა მიაკუთვნა განსაკუთრებულად შეძლებულ მეურნეობათა რიცხვს, მისი შემოსავალი ივარაუდა 1.988 მან., ხოლო გადასახადი შეაწერა 471 მან. რაოდენობით.

აი ცხადი მაგალითი იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოიქცა უკანონოდაც და პოლიტიკური შეცდომაც დაუშვა.

მართლაც: ინდივიდუალური წესით, ე. ი. კანონის მე-28 მუხლის ძალით, შეიძლება დაბეგრილ იქნას მარტო არა მშრომელი ექსპლოატატორული მეურნეობა. ამ მეურნეობას შემოსავალი აქვს მხოლოდ სოფლის მეურნეობიდან და ქირაზე მუშაობისაგან, ამიტომ მისი დაბეგვრა ინდივიდუალური წესით კანონის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს. როგორია ნიკიშინის ოჯახის შემადგენლობა? თვითონ მოხუცი, მისი ცოლი, ერთი მოზრდილი შვილი, დანარჩენები არიან ქალები და ბავშვები. ერთი მიბრძანეთ, შეიძლება თუ არა კალუგის გუბერნიის პირობებში 471 მან. გადასახადი გადაახდევინო გლეხის ისეთ მეურნეობას, რომელსაც ჰყავს 2 ცხენი, 2 ძროხა, 13 ჰექტარი ნათესი და მცირეოდენი არასამიწადმოქმედო შემოსავალი? ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დიდ ოჯახიანი გლეხის მეურნეობის დანგრევას.

მე შევეკითხე ამხ. ფრუმკინს, სწორად მოიქცა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება ამ შემთხვევაში? მან მიპასუხა, რომ მას არ ჰქონდა უფლება გამოეყენებია ნიკიშინის მიმართ ინდივიდუალური დაბეგვრის მუხლი და დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა 1.350 მან.-დან აეყვანა 1988 მან.-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ამხანაგი პოლიტიკურ ალღოს ვერ იჩენს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის, ვინც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს აგროვებს, საკითხს მიუდგა იმ ერთად-ერთი მისწრაფების თვალსაზრისით, რომ რაც შეიძლება მეტად დაებეგრა მეურნეობა, მაგრამ თუ რა შედეგებს მოიტანდა ეს, მისთვის სულერთი იყო; თუ დაინგრევა ერთი მეურნეობა, ამას მისი აზრით, არ აქვს მნიშვნელობა. ეს არის არაპოლიტიკური მიდგომა, არამედ მთავრობის ხაზის დამახინჯება.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. გლეხ ანისიმოვის მეურნეობაში, რომელიც ათი მჭამელისაგან შესდგება, აღრიცხულია 658 მ. შემოსავალი; მან უნდა გადაიხადოს 81 მან. შარშან იმავე მეურნეობას ჰქონდა 515 მან. შემოსავალი, ჰყავდა 9 მჭამელი და გადაიხადა 3 მან. 85 კაპ. ეს მეურნეობა საშუალო შეძლებისაა. დაბეგვრის ობიექტები თითქმის იგივეა. რაც იყო შარშან. თქმა იმისა, რომ შარშან გამოანგარიშებაში დაშვებულ იქნა შეცდომა, უსაფუძვლოა. არ არსებობს არც ისეთი მდგომარეობა, რომ მთელი სოფლის გადასახადი უცებ გადიდებულიყოს ორჯერ მეტად, ხოლო ცალკე გლეხი კი 30 მან. 85 კაპ. ნაცვლად, რომელსაც ის იხდიდა შარშან, წელს დაბეგვრის თითქმის იმავე ობიექტების არსებობის დროს იხდის 81 მანეთს. დასაშვებია თუ არა ეს? ეს უეჭველად დაუშვებელია, თუმცა გადასახადის გადიდება მოხდა სავსებით კანონიერ ნიადაგზე. გადასახადის ასე გადიდება უმთავრესად გამოიწვია იმან, რომ სოფლის მეურნეობის შემოსავალს შეუფარდეს პროცენტული დანარიცხი (კანონის მე-27 მუხლი); ეს კი მოხდა იმიტომ, რომ გადასახადის გამოანგარიშება სწარმოებდა არა მჭამელთა არამედ სამეურნეო შკალის მიხედვით.

მოვიყვან კიდევ ერთ ამგვარ მაგალითს. მეურნეობა, რომელიც შესდგებოდა 16 მჭამელისაგან და რომლის შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან უდრიდა 800 მანეთს, შარშან, მჭამელთა სისტემის მიხედვით, იხდიდა 35 მან. 20 კაპ. წელს კი იმავე მეურნეობამ, სამეურნეო შკალის მიხედვით, უნდა გადაიხადოს 87. მან. 15 კაპ. მომატება შეადგენს 41 მან. 95 კაპ. ანუ 120 პროცენტს. ამ შემთხვევაში გავლენა აქვს მჭამელთა სისტემიდან სამეურნეო შკალაზე გადასვლას, ვინაიდან შემოსავალი თითო მჭამელზე მეურნეობაში არ აღემატება 50 მან. და ამიტომ მასზე არ ვრცელდება პროცენტული დანარიცხი.

შემიძლია მოვიყვანო სხვა ფაქტებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ თუმცა დაბეგვრა ფორმალური და იურიდიული მხრით სწორია. მაგრამ იგი იწვევს გადასახადის მნიშვნელოვანი რაოდენობით გადიდებას, რითაც ხდება პარტიული ხაზის დამახინჯება. ჩვენ არ ვფიქრობდით, ცალკე გუბერნიები და ცალკე ადგილები დაგვებეგრა 2—3-ჯერ უფრო მეტად, ხოლო ცალკე გლეხური მეურნეობანი 5—6-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე შარშან. მთავრობა ასეთ მიზანს არ ისახავდა, ეს ადგილობრივი ხელისუფლების შეცდომაა. ეს არის საკითხისადმი უყურადღებო, არაპოლიტიკურად მიდგომა.

კანონის 28 მუხლის აზრი

განსაკუთრებით ბევრი შეცდომაა ეგრედწოდებული ინდივიდუალური დაბეგვრის მხრივ. მე უკვე გითხარით, რომ ინდივიდუალური დაბეგვრა ვრცელდება ისეთ პირებზე, რომლებიც არაშრომითი შემოსავალს იღებენ. ასეა ნათქვამი კანონში. ამასთან ერთად არსებობენ ცალკე მეურნეობანი, რომლებიც შემოსავალს იღებენ. (და შეიძლება განსაკუთრებულად დიდ შემოსავალსაც) არა ექსპლოატაციისაგან, მაგრამ რომლებიც უნდა დაიბეგრონ ინდივიდუალურად. მე, ყოველ შემთხვევაში, დასაშვებად მიმაჩნია ასეთი შესაძლებლობა. მე ვფიქრობ, რომ საგადასახადო კომისიებს და ადგილობრივ ორგანოებს ზოგჯერ შეუძლიათ ინდივიდუალურად დაბეგრონ ცალკე შემოსავალი, რომელიც ექსპლოატაციის გზით არ არის მიღებული. მაგრამ ინდივიდუალური დაბეგვრა სწორედ იმიტომ არის შემოღებული, რომ ყოველი მეურნეობა, რომელიც ამგვარად იბეგრება, გამოკვლეულ იქნას და რომ ეს ინდივიდუალური დაბეგვრა უნდა იწვევდეს მხოლოდ დაბეგვრის გადიდებას და არა მეურნეობის დანგრევას. აი როგორია საერთოდ და მთლიანად ინდივიდუალური დაბეგვრა.

გატარდა თუ არა იგი ჩვენში სწორად? ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები მოწმობენ, რომ ინდივიდუალური დაბეგვრა შედარებით ცუდად არის გატარებული. ამხანაგებმა ადგილებზე ვერ გაიგეს მე-28 მუხლის მნიშვნელობა, ვერ მიხვდნენ იმას, თუ რაში მდგომარეობს მე-28 მუხლის პოლიტიკური რაობა. ამ მუხლის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ გლეხთა მასების წინაშე გადაიშალოს კლასობრივი ხაზი. რაში გამოიხატება კლასობრივი ხაზი? ეს ხაზი გამოიხატება იმაში, რომ დაბეგვრის სიმძიმე გადატანილ იქნას მოსახლეობის უფრო შეძლებულ ფენებზე. მაგრამ როცა ამბობენ სიმძიმის გადატანაზე, ეს არ ნიშნავს მეურნეობის დანგრევას, ეს ნიშნავს ზომიერი რაოდენობით დაბეგვრას, რომელიც ასატანი იქნება მეურნეობისათვის. როგორ უდგებიან ამხანაგები ინდივიდუალური დაბეგვრის საკითხს?

თუ გლეხური მეურნეობა პოლიტიკური მოტივებით, აქ კი პოლიტიკური მოტივები უნდა იყოს, ინდივიდუალურად უნდა დაიბეგროს, განა არ შეგვიძლია ნორმალური დაბეგვრა ინდივიდუალური დაბეგვრის საშუალებით 10 პროცენტით გავადიდოთ? დავუშვათ ,რომ კაცი ნორმალურად 100 მანეთს უნდა იხდიდეს, მას კი ინდივიდუალური წესით ბეგრავენ, ე. ი. სცნობენ, რომ მას მეტი შემოსავალი აქვს, და ინდივიდუალური წესით 10 მანეთს ზედმეტს ახდევინებენ“.

როცა ერთ-ერთ ცნობილ ადგილობრივ მუშაკს შევეკითხე: რატომ ხდება, რომ თუ მეურნეობას უწევს 90—100 მანეთის გადახდა, თქვენ ინდივიდუალური წესით ამ თანხას უმატებთ და ახდევინებთ 100 მანეთს? რატომ სჩადიხართ ამას, ე. ი. რატომ ადიდებთ დაბეგვრას უცებ 100 პროცენტით? განა არ შეიძლება ეს დაბეგვრა გაადიდოთ, ვსთქვათ 10 მანეთით? მან მიპასუხა, რომ ის ინდივიდუალური დაბეგვრის დამცველია, და რახან დაბეგვრაზეა საქმე, უნდა დაბეგრო როგორც რიგია (სიცილი). წინააღმდეგ შემთხვევაში არ ღირს თავის ატკივება.

ამხანაგებო, მე არ მოვიყვანდი ამ არგუმენტს, მაგრამ მეშინია, რომ ბევრი ამხანაგი სწორედ ამგვარად უყურებს ინდივიდუალურ დაბეგვრას, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ისინი მხედველობიდან უშვებენ პოლიტიკურ მომენტს. გლეხისათვის სრულებითაც არ არის ერთი და იგივე, დაბეგრულია კაცი 100 მან. თუ 110 მან.—ამ ათი მანეთით პოლიტიკური ხაზიც აღინიშნება და დაბეგვრის კლასობრივი შინაარსიც.

საჭიროა მეტი სიფრთხილე

ყოველი გლეხი ოცჯერ გაივლის ასი ვერსის მანძილს, რათა მოახერხოს ამ ათი მანეთის დაკლება. ინდივიდუალური დაბეგვრისადმი ასეთი დამოკიდებულება ამტკიცებს, რომ შეგნებული არა აქვთ ის, რომ კლასობრივი ხაზის გატარება დაბეგვრის დროს სრულებითაც არ ნიშნავს გადასახადის გადიდებას ერთი-ორად. როცა დაბეგვრას ადიდებთ ერთი-ორად, ცხადია, რომ გადამხდელი პროტესტს განაცხადებს, ვინაიდან ხედავს, რომ ეს სამართლიანი არ არის. ღარიბებიც და საშუალო გლეხებიც ხედავენ, რომ უფრო შეძლებული ისე დაბეგრეს, რომ შეიძლება ითქვას გაალატაკეს, როგორი კლასობრივი ხაზია ეს? მაშასადამე, კლასობრივი ხაზი ყოფილა მეურნეობის განადგურება! ეს არაა სწორი ხაზი. ეს არის კლასობრივი ხაზის დამახინჯება, ეს არის ერთგვარი ბატონური მიდგომა საკითხისადმი. ამბობენ, რახან დაბეგვრაა, დაბეგვრა უნდა იყოსო. ვერ შეუგნიათ ის, რომ გლეხის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყოველ ათ მანეთს. მე ვფიქრობ, რომ ინდივიდუალურ დაბეგვრის დროს უდიდესი სიფრთხილეა საჭირო. თუ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, როგორც ვსთქვი, არის პოლიტიკა, მაშინ ინდივიდუალური დაბეგვრის გატარება არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონცენტრაციაქმნილი პოლიტიკა. ამიტომ დაბეგვრა ისე უნდა ჩავატაროთ, რომ ყოველმა გლეხმა იგრძნოს, რომ ხელისუფლება სამართლიანად მოიქცა. საჭიროა გლეხობა დარწმუნდეს, რომ ინდივიდუალური დაბეგვრა არის არა შურისძიება და თვითნებობა, არამედ მტკიცე კლასობრივი ხაზი, რომელიც არსებითად მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადის სიმძიმე გადატანილ იქნას მოსახლეობის შეძლებულ ფენებზე. ყოველ შემთხვევაში, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეძლებულ მეურნეობათა გაღატაკებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ იმას, რომ გადასახადის სიმძიმე მცირე შეძლების მეურნეობათაგან გატანილ იქნას უფრო ღონიერ მეურნეობებზე. საკითხის ეს მხარე უეჭველად უნდა გამოსწორდეს.

აქ, მოსკოვის საბჭოს პლენუმზე, მე გამოვდივარ არა იმიტომ, რომ სწორედ მოსკოვის გუბერნიაში არის ბევრი გადამახინჯება ამ მხრივ. თუ მოსკოვის საფინანსო ორგანოებს შეიძლება რამეში დავსდოთ ბრალი, მხოლოდ იმაში, რომ ეს ორგანოები ერთგვარ ჩინოვნიკურად უდგებიან ქალაქის მოსახლეობის დაბეგვრას მოსკოვში და სხვა ქალაქებში.

შინამრეწველთა დაბეგვრა

მე მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, თუმცა სიტყვა გამიგრძელდა (ხმები: არაფერია, არაფერია!). მე მინდა შევეხო შინამრეწველობის სარეწაოების დაბეგვრის საკითხს. ადგილებზე ისე გაიგეს, რომ შინამრეწველობის სარეწაოებზე (წისქვილები, ზეთის სახდელი და სხ. წარმოებანი) სავსებით და მთლიანად უნდა გავრცელდეს ინდივიდუალური დაბეგვრა. ეს სწორი არაა. აქ, ჩემის აზრით, უაღრეს უზრუნველობას აქვს ადგილი მთელი მოსახლეობის მიმართ.თქვენ იცით, რომ არა გიგანტური ნაბიჯებითაც არ უნდა იზრდებოდეს ჩვენი მრეწველობა, მუშათა კლასი გაცილებით მეტი პროცენტით იზრდება. ვიდრე საერთო მოსახლეობა, მაგრამ თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ჩვენში არის რამდენიმე მილიონი მუშა, რომლებიც შინამრეწველობის სარეწაოებში მუშაობენ. ყოველმა პასუხისმგებელმა მუშაკმა ზედმიწევნით უნდა აწონ-დაწონოს, თუ როგორ გავლენას მოახდენს დაბეგვრა სარეწაოების განვითარებაზე, ხომ არ გამოიწვევს დაბეგვრა ასობით და ათასობით მუშების მოწყვეტას წარმოებისაგან და უმუშევრად დარჩენას. ჩვენში ხომ შინამრეწველობის საქმეში ჩაბმულია მრავალი მილიონი მუშა და როცა დაბეგვრას ატარებენ ისე, რომ არაფერს არ უწევენ ანგარიშს, ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ ამხანაგებს ძალიან ვიწრო ჰორიზონტი აქვთ. ჩვენს სახელმწიფოში ხალხის მცირე პროცენტი მუშაობს დიდ სახელმწიფო წარმოებებში, მრავალი მილიონი მუშა კი მუშაობს შინამრეწველურ წარმოებებში. საგუბერნიო აღმასკომის ყოველმა თავმჯდომარემ, თუ კი მას სურს იყოს ადმინისტრატორი, პოლიტიკოსი და ნამდვილი ბოლშევიკი, ამა თუ იმ ზომის გატარების დროს, უნდა გამოიჩინოს დიდი სიფრთხილე და ეს ზომა სავსებით უნდა შეუფარდოს მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარების არსებულ პირობებს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში ბევრმა ამხანაგმა ვერ გამოიჩინა სიფრთხილე, რაიც გადაჭრით უნდა გამოსწორდეს.

თვალყური ვადევნოთ კანონის გატარების შედეგებს

მე მინდა აღვნიშნო ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი კიდევ: ახალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს თითქოს შეაქვს მთელი რიგი ცვლილებანი, რომელთა გამოც მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფები და გლეხის მეურნეობის ზოგიერთი წყაროები თითქოს უფრო მეტის რაოდენობით უნდა დაიბეგრონ, ვიდრე შარშან. ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გაცილებით უფრო სამძიმო უნდა იყოს მრავალი მაზრისა და ადგილისათვის. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საგუბერნიო აღმასკომებმა, გუბკომებმა, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და სხ. საფუძვლიანად, კონკრეტიულ მაგალითებზე უნდა შეისწავლონ ახალი კანონის გავლენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ვინაიდან პირველად არის ისეთი ფაქტი, როცა ერთის მხრით გადასახადისაგან სავსებით განთავისუფლებულია გლეხობის 35 პროც., ხოლო მეორეს მხრით, სოფლის ზედაფენები საფუძვლიანად არიან დაბეგრილი. უნდა ითქვას, რომ ადგილებზე სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხს. რატომ ხდება ეს? ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ სერიოზულად არ არის დასმული სოფლის მეურნეობის აწევის ამოცანა. რამ მიმიყვანა ამ აზრებამდე? მე ამას წინედ ვიყავი სტანიცაში. მე რამდენიმე ადგილის გლეხი ვარ (სიცილი), ამასთანავე სხვადასხვა კატეგორიის გლეხი. ტვერის გუბერნიაში მე ვარ ინდივიდუალური გლეხი (სიცილი), ამიტომ იქ გადასახადი უნდა გადამხდეს საერთო წესის მიხედვით. ყუბანში კი მე კოლექტივისტი ვარ, მაშასადამე, ჩემი მიწა კოლექტივშია და სხ. (სიცილი და ხმები: ორ ადგილას გაქვთ მიწა). ჰო, ორ ადგილას. მე იქ ერთი კვირა დავრჩი და ამ კვირაშიაც 4—5 დღე დავეხეტებოდი მინდვრებში, რადგან გლეხი სწორედ ამ დროს პურს ლეწავს. მე მინდორში ვიყავი განუწყვეტლივ დილიდან საღამომდე.

საინტერესოა, შევხვდი თუ არა მე მინდორში რომელსამე ტეხნიკოსს? შეიძლებოდა თუ არა ვინმეს დაბადებოდა ის აზრი, რომ ამ შემთხვევაში იქ უნდა იმყოფებოდეს აგრონომი? მე მიველ იმ ადგილას, სადაც ელექტრო-სადგური შენდება. სადგური ჯდება 1—1 ნახ. მილიონი მანეთი. მე მომეგება ტეხნიკური დირექტორი, შემდეგ პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები, მუშები, და ტეხნიკურ დირექტორს აქ არც პარტიული და არც პროფესიონალური ორგანიზაციები მას არ ჩრდილავს. მას თავისი ადგილი აქვს, იგი იძლევა ახსნა -განმარტებას და სხ. ყუბანში, ელექტრო-სადგურის აგების საქმეში ტეხნიკური დირექტორი დიდი პიროვნებაა.

ყურადღება სოფლის მეურნეობას

ვნახოთ რა განსხვავებაა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შორის ამ რაიონში. საკმაოა ავილოთ პურის აკრეფა. მოსავლიან წლებში ეს რაიონი იძლევა 278.460 ტონა საექსპორტო პურს. თუ მრეწველობის მთელ პროდუქციას ამ რაიონში შევაერთებთ, იგი, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ გაუთანასწორდება ამ მოსავლის ღირებულებას, რადგან ეს რაიონი არ არის სამრეწველო რაიონი. აქ მე თვალში მეცა ერთი გარემოება: ერთ ადგილას ტეხნიკური ხელმძღვანელი ყველაფერს ხელმძღვანელობს, არავინ მას არ ჩრდილავს, ხოლო მეორე ადგილას უდიდეს მუშაობაში, რომელიც იძლევა მრავალ მილიონ ტონა პურს, იქ ქალი გვხედებათ, აგრონომი კი იქ არ ყოფილა. აი, ასეთი განსხვავება არსებობს და ეს განსხვავება ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ.მე არ მინდა ბრალი დავსდო ადგილობრივ მუშაკებს, მე მხოლოდ ვამბობ, რომ როცა ვსვამთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხს, მე მაგონდება ეს ორი სურათი ერთ ადგილას. სანამ ეს ორი სურათი არ დადგა ჩემს წინაშე, მე არ ვფიქრობდი ამაზე. ეს ბუნებრივად და ნორმალურად მეჩვენებოდა, ეხლა კი ასეთი მდგომარეობა არა ბუნებრივად და არანორმალურად მიმაჩნია.

როცა ეცნობი მუშაობის დაყენების მთელ საქმეს, თავს იჩენს ისეთი ფაქტები, როგორიც არის, მაგალითად შემდეგი: ეისკში, პატარა საკუროტო ქალაქში, გაჰყავთ წყალსადენი, რომლის ღირებულება უდრის 2 მილიონ მანეთს. ხოლო იმ რაიონში, სადაც ამზადებენ და საიდანაც გააქვთ მრავალი მილიონი ტონა პური, იხარჯება თუ არა სოფლის მეურნეობაზე 2 მილიონი მანეთი წელიწადში?ასეთი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. როცა ვაკვირდები, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, მე ვამჩნევ, რომ ამაში დამნაშავენი არიან არა მარტო ადგილები, —ცხადია, დამნაშავეა ცენტრიც: ჩვენ ცოტა ყურადღებას ვაქცევთ საწარმოო მხარეს თვით სოფლის მეურნეობაში. მე მინდა ვსთქვა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ადგილობრივ იმგვარად უნდა გატარდეს, რომ ამან არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვიოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება ინდივიდუალურ მეურნეობებში.

დასასრულ ვუპასუხებ ამხანაგს შეკითხვაზე: იქნება თუ არა წელს თვითდაბეგვრა? თვითდაბეგვრა იყო არა მარტო შარშან, არამედ შარშანწინაც და სხვა წლებშიაც. და თუ ჩვენ არ ვაქცევდით ყურადღებას თვითდაბეგვრას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ ტარდებოდა ისეთი სწრაფი, აჩქარებული ტემპით, როგორც შარშან, მაგრამ შარშან ეს გავატარეთ გასაგები მიზეზის გამო. შარშან ეს გავატარეთ იმისათვის, რომ პურის პატრონი იძულებულვეყო გაეტანა პური ბაზარზე, რათა შეეტანა თვითდაბეგვრის გადასახადი. წელს ასეთი სპეციალური კამპანია არ არის მოსალოდნელი.

მაგრამ თვითდაბეგვრა ისეთი ნორმალური ნებაყოფლობითი წესით, როგორც ყოველთვის, ეხლაც გატარდება. აქაც უნდა ითქვას, თვითდაბეგვრა თავისი არსებით ერთ-ერთი სასარგებლო ზომაა. ის გვაძლევს საშუალებას მოვაწესრიგოთ მთელი რიგი საზოგადო დაწესებულებანი და შევასრულოთ მრავალი საზოგადოებრივი მუშაობა. თუ ამ ზომას რიგიანად გავატარებთ, ის მოგვცემს პლიუსებს და არა მინუსებს.

მეტი პოლიტიკური წინდახედულება

როცა ტარდება ნორმალური კამპანია, როგორც ეხლა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია, ყოველ მუშაკს უნდა ახსოვდეს, რომ საბჭოთა ორგანოების ყოველი აღმასრულებელი ამავე დროს უნდა იყოს პოლიტიკოსი ის არ შეიძლება არ იყოს პოლიტიკოსი. მაგრამ ხელმძღვანელ პოსტებზე უმეტეს შემთხვევაში არიან კომუნისტები და რომ კომუნისტი სულ უბრალო მუშაობას, რომელსაც ის ასრულებს, არ უკავშირებდეს მთელ მუშაობას მთლიანად, რომ იგი ამ მუშაობას არ გამსჭვალავდეს კომუნისტური იდეით, მაშინ, ამხანაგებო. განსხვავება ხალხის მუშაობაში, რომელიც მარტივ მექანიკურ საქმეს ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის დროს და კაპიტალიზმის დროს, ძალიან მცირე იქნებოდა. მუშაობა ასეთი მუშაკისათვის იქნება სამძიმო და უინტერესო, ის იმუშავებს მხოლოდ იმ მატერიალური საშუალებისათვის, რომელსაც იგი იღებს მუშაობაში. კომუნისტი ყოველთვის აწზოგადებს თავის ცალკე მუშაობას. იგი მას საერთო მუშაობის ნაწილად სთვლის, იგი მას სულს უდგამს, თუ ეს შეიძლება ითქვას ცალკე მარტივ მექანიკურ სამუშაოზე, მით უფრო შეიძლება ვსთქვათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე, რომელიც წმინდა პოლიტიკას წარმოადგენს. აქ ყოველი შეგროვილი მანეთი, ყოველი უბრალო ჩანაწერი პოლიტიკური მოქმედებაა. თუ ყოველი კომუნისტი საკითხს მიუდგება პოლიტიკურად, მაშინაც კი, თუ დეკრეტში რომელიმე მუხლი მოხერხებული ვერ გამოდგა,— ეს გამოსწორებული იქნება პრაქტიკულ მუშაობაში. აი რატომ ვუყენებ შეგნებულად ადგილებს ასეთ პრეტენზიებს. ბოლოს და ბოლოს შედეგები ეხლა დამოკიდებულია არა მარტო სწორ ხაზზე, რომელსაც მთავრობა და პარტიის ცეკა ისახავს: მნიშვნელოვან როლს ამ საკითხში თამაშობს ასეთი ხაზის გამოყენება ადგილებზე. თუ ადგილებზე საკითხს მიუდგებიან პოლიტიკურად, ბოლშევიკურად და რევოლიუციონურად, ჩვენ შევძლებთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მივიღოთ მაქსიმალური ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები. (ტაში).

პარტიული ცხოვრება

ყოფილი ტროცკისტების აღდგენა პარტიაში

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება)

მოსკოვი, 24 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებით, აღდგენილ იქნენ საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში ყოფილი ტროცკისტები ვორონსკი, ზვერევი და ნეუსტროევი, რომლებიც პარტიიდან ფრაქციული მუშაობისათვის იყვნენ გამორიცხული. (ადს).

მეტი ყურადღება ანტირელიგიურ ფრონტს

საკითხი ანტირელიგიური პროპაგანდისა მუშებისა და გლეხების ფართო მასებს შორის ძველი ყოფა-ცხოვრების ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის ეპოქაში უაღრესად სერიოზულ პრაქტიკულ მნიშვნელობას იღებს.

მე-15 პარტიულმა ყრილობამ თავის დროზე წამოაყენა კულტურული მშენებლობის საკითხები, მაგრამ სამწუხაროდ აღსანიშნავია, რომ მუშაობა კულტურული მშენებლობის დარგში და ამ მუშაობასთან დაკავშირებულ, ანტირელიგიური პროპაგანდა ჯერ-ჯერობით ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ამ გარემოებას საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება უფრო იმიტომ, რომ ამჟამად უდავოა რელიგიურ ორგანიზაციათა ზრდისა და მათი მუშაობის გამოცოცხლების ფაქტი.

ყველასათვის აშკარაა ის გარემოება, რომ წვრილ-ბურჟუაზიული სექტორის ნაწილობრივი გაძლიერება მეურნეობაში (ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში) იწვევს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაწილობრივ სტაბილიზაციას, ამ იდეოლოგიის ელემენტები კი ნელ-ნელა იკვლევენ გზას ხალხურ მასებში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციათა მეშვეობით.

აი რატომ არის, რომ კულაკები, ნეპმანები, მეფური რეჟიმის დარჩენილი წარმომადგენლები და საზოგადოდ ყველა უკმაყოფილო ელემენტები მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევენ ერთად-ერთ ლეგალურ ანტი-საბჭოთა ორგანიზაციას—ყოველგვარ სახისა და მიმართულების რელიგიურ საზოგადოებებს.

არ არის საჭირო მტკიცება იმისა, რომ რელიგია რეაქციონურ როლს თამაშობს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ეკლესიების, მეჩითებისა, სინაგოგებისა და სხვ. კათედრებიდან, საღვთო წერილის განმარტების სახით, გაისმის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა საწინააღმდეგო ქადაგება. ოქტომბრის რევოლიუციას სახავენ ღვთის რისხვად, მატერიალიზმს—უზნეო მოძღვრებად და სხვ. ცხადია, რომ ეს კონტრ-რევოლიუციონური ქადაგება არსებითად უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამჟამად თავი იჩინა სექტანტურ მოძრაობამ მესვეურთა, ახალი ეკლესიის მქადაგებელთა და სხვ. ენერგიულმა მუშაობამ ახალგაზრდობისა და ქალების დასაპყრობად, მათში რელიგიური გრძნობათა შთასანერგავად. იყო შემთხვევები, როდესაც სექტანტური მქადაგებელთა ზეგავლენით გლეხები არ უშვებდნენ სოფელში მოძრავ კინოს (ახალქალაქის მაზრა). აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ახალი ეკლესიის მქადაგებლებთან, მუსლიმანურ სამღვდელოებასთან, არამედ კათოლიკურ პატერებთანაც. ამ უკანასკნელთა გავლენის ქვეშ იმყოფება არა მარტო გლეხობის დიდი უმრავლესობა, არამედ ზოგი კომკავშირელებიც და პიონერებიც (სოფ. უდე).

თბილისის სპარსულ სკოლაში გამგედ არის ხოჯა ახუნდი (მოლა), და იქ მთავარ საგნად საღვთო რჯული ითვლება.

რელიგიური ორგანიზაციები ფრიად მოხერხებულად აწარმოებენ თავის მუშაობას და ფართოდ იყენებენ ჩვენი პარტიულ-კომკავშირული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ისინი აწყობენ ჩვენი ორგანიზაციების მსგავს საზოგადოებებს.

საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა რელიგიასთან, მაგრამ არა ძალდატანებით, როგორც ამას ჰქონდა ადგილი შორაპნის მაზრაში, სადაც რელიგიასთან ბრძოლას აწარმოებდნენ არა მატერიალისტური მსოფლმხედველობის შთანერგვით, მასების შეგნებაში, არამედ ადმინისტრატიული ღონისძიებებით.

რელიგიასთან ბრძოლის საქმე აუცილებლად უნდა დავაყენოთ მეცნიერულ ნიადაგზე, ფართო ახსნა-განმარტების გზით უნდა ნათელვყოთ რელიგიის გამხრწნელი როლი. ამასთან ერთად საჭიროა გვახსოვდეს, რომ რელიგიასთან ბრძოლა ეს არის ბრძოლა ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის, კულტურული მშენებლობისათვის, ამიტომ საჭიროა ყოფა-ცხოვრების საკითხებმაც ჰპოვონ თავისი გამოხატულება „უღმერთოთა“ კავშირის უჯრედების მუშაობაში.

პარტიის მიერ ამ საკითხზე მიცემული დირექტივა უნდა შესრულდეს. პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებმა ანტი-რელიგიური მუშაობა უნდა მიიჩნიონ არა მარტო „უღმერთოთა“ კავშირის, არამედ მთელი პარტიული მასის ამოცანად.

ს. არუთინოვი.

ოსტატების თათბირი

(26 კომუნარის რაიონი)

ამ დღეებში შესდგა კომუნისტ-ოსტატების თათბირი „26 კომუნარის“ სახელობის რაიონის“ ფაბრიკა-ქარხნების ადგილობრივი კომიტეტების ფრაქციათა თავმჯდომარეებისა და წევრების მონაწილეობით.

თათბირმა მოისმინა ამხ. გარინის საინსტრუქციო მოხსენება ოსტატებთან მუშაობის შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. გარინმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს უკანასკნელ დრომდე ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდნენ და ოსტატებთან მუშაობა უმთავრესად შემთხვევით ხასიათს ატარებდა.

ოსტატები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებენ პრაქტიკულ საზოგადოებრივ მუშაობაში, როგორც პროფკავშირის, ისე სხვა ხაზით.

პროფორგანიზაციები არ აქცევენ ოსტატებს სათანადო ყურადღებას.

საჭიროა ოსტატების გადამზადება დასაწინაურებელთა კადრების შესაქმნელად. ოსტატებს აუცილებლად უნდა მივაწოდოთ ტექნიკური ლიტერატურა.

ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ არის მოწესრიგებული ოსტატების დამოკიდებულება მოწაფეებთან. ადგილი აქვს ძველ ჩვეულებებს, რაც იმის შედეგია, რომ ოსტატებს შორის არ ჩატარებულა არავითარი კულტურული მუშაობა.

საჭიროა მუშაობის გაძლიერება აგრეთვე კომკავშირის ხაზითაც.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ყაზახიშვილის მოხსენება ოსტატებს შორის მუშაობის გამოკვლევის შედეგთა შესახებ.

გამოკვლევამ ნათელჰყო—სთქვა ამხ. ყაზახიშვილმა,—რომ ეს მუშაობა სუსტად არის დაყენებული. ხშირად მთელი მუშაობა ოსტატების ანგარიშების მოსმენაში გამოიხატებოდა.

გამოკვლევამ ნათელჰყო აგრეთვე ტექნიკური უვიცობა ადგილებზე, რაც გამოწვეულია ლიტერატურის უქონლობით.

ოსტატებს არ [illegible] მათ როლსა და მნიშვნელობას წარმოებაში.

თითქმის არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ აგრეთვე ოსტატების დასაწინაურებლად ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობებზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ოსტატები მრავალ დეფექტებს აღნიშნავდნენ; ისინი ამბობდნენ:

— ლაპარაკიც არა ღირს არავითარ გამოგონებაზე, სანამ ამ გამოგონებას არ დაამტკიცებს საწარმოო თათბირი. ოსტატს კი, სანამ იგი თათბირის მოწვევას მოესწრებოდეს, ავიწყებს თავისი წინადადებას, ან გამოგონება ხშირად მთლად ავიწყდება.

— საქმის ინტერესის თვალსაზრისით, საჭიროა უფრო ხშირად ვგზავნიდეთ ოსტატებს სხვა ქალაქებში შვებულების დროს.

— ხშირად ოსტატები უფროსი ოსტატის თანამდებობაზე დაწინაურების შემდეგ დიდკაცობენ. ამ მოვლენას უნდა ვებრძოლოთ.

— ბევრჯერ ოსტატები არ არიან დამნაშავე იმაში, რომ მოწაფეები ცოდნას კარგად ვერ ითვისებენ. საქმე იმაშია, რომ თუ ექვსი თვის სწავლების შემდეგ მოწაფემ ვერ ჩააბარა გამოცდა, იგი რატომღაც სხვა მანქანაზე ან სრულიად სხვა სამუშაოებზე გადაჰყავთ.

დასასრულ თათბირმა მიიღო პრაქტიკული წინადადებანი, მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

გაძლიერებულ იქნას მუშაობა რეზერვის მტკიცე აღრიცხვისა და შესწავლის დარგში ოსტატის თანამდებობაზე დიდი კვალიფიკაციის მუშების დასაწინაურებლად. წარმოებულ იქნას აგრეთვე საუკეთესო ოსტატების აღრიცხვა მათ დასაწინაურებლად ადმინისტრატიულ-სამეურნეო სამუშაოზე.

მიღებულ იქნეს პრაქტიკაში პერიოდული (ერთხელ ან ორჯერ თვეში) მოწვევა ოსტატების თათბირებისა, რომლებზედაც უნდა დაისვას ცალკე საამქროების მიერ წამოყენებული საკითხები და ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხებიან მთელ წარმოების ცხოვრებას.

რეგულიარულად იქნეს მოსმენილი ოსტატების საანგარიშო მოხსენებები საწარმოო თათბირებზე, ფაბქარხადგილკომებზე და სხვ.